სამყაროს შემეცნება

7

სახელმძღვანელო

Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

ნუშაბა მამედოვა
ქონულ მაჰმუდოვა
სევილ ბაჰრამოვა

სამყაროს შემეცნება

7

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-7 კლასისათვის "სამყაროს შემეცნება"-ს საგნის სახელმძღვანელო

დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ 07.08.2014 წელს, ბრძანება №869

ŞƏRQ-QƏRB
BAKI 2017

ნუშაბა მამედოვა, ქონულ მაჰმუდოვა, სევილ ბაჰრამოვა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-7 კლასისათვის “ჩემი სამყაროს”-ს საგნის სახელმძღვანელო

ŞƏRQ – QƏRB **ბაქო** 2017.

რედაქტორი: იეგანა ჰუსეინოვა
რეფერენტი: ფარუხ აძბაროვი

ქართული გამოცემის ორგანიზატორი **როლანდ ჯალაღანია**
ტექნიკური რედაქტორი **მიხეილ ჩოდრიშვილი**
მთარგმნელი **ზარიფა გაჯიევა**

პირობითი სიმბოლოები

კვლევა და განხილვა

საყურადღებო აზრები

კითხვები და დავალებები

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით თქვენი მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები გამოგზავნოთ **info@eastwest.az** და **derslik@edu.gov.az** ელექტრონულ მისამართებზე

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის!

საავტორო უფლებები დაცულია. სპეციალური ნებართვის გარეშე ამ გამოცემის, ანდა მისი რომელიმე ნაწილის გადაბეჭდვა, ასლის გადაღება, ელექტრონული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელება კანონით აკრძალულია

© აზერბაიჯანის განათლების სამინისტრო 2017

ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

გარემო ჩვენს ირგვლივ

1. მოძრაობა მატერიის თვისებაა
2. ურთიერთქმედებები ბუნებაში
3. ენერგია და ენერგიის გარდაქმნა
4. ადამიანი და გარემო
5. ტყეები ჩვენი პლანეტის ფილტვებია

1. მოძრაობა მატერიის თვისებაა

გრძელი საზაფხულო არდადაგების შემდეგ სკოლაში დაბრუნებული ბავშვები თანაკლასელებთან შეხვედრით ძალიან გახარებულები იყვნენ. უკვე პირველი საგაკვეთილო კვირის მეორე დღე იყო. ამ დღეს ფიზიკის გაკვეთილი ჰქონდათ. მასწავლებელმა მოსწავლეებს მე-6-ე კლასში განვლილი მასალის გამეორების მიზნით დაურიგა ფურცლები, სადაც ეწერა კითხვები.

ვაგიფს უნდა დაეჯგუფებინა მოვლენები: როგორიცაა გემის ცურვა, ფოთლების მზისკენ მიბრუნება, ვაშლის ხიდან ჩამოვარდნა, თოვლიანი ფერდობიდან მოთხილამურის სრიალი, მზის სხივების მიერ დედამიწის გათბობა, ელვის განმუხტვა და ხელების ერთმანეთზე გასმით მათი გაცხელება.

თქვენი აზრით, ვაგიფმა ეს მოვლენები როგორ უნდა დააჯგუფოს?

ჩვენ ვაკვირდებით, რომ ჩვენს გარშემო სხეულების ნაწილი მოძრავია, ხოლო ნაწილი შედარებით უძრავია. სიცოცხლესა და მოძრაობას შორის მჭიდრო კავშირია.

ცოცხალი არსებების დამახასიათებელი ნიშნებიდან ერთ-ერთი მოძრაობაა. რომელიმე ობიექტი, რომელიც ჩვენ გვეჩვენება უმოძრაოდ, სინამდვილეში იგი მოძრაობს იმ სისტემასთან ერთად რომელშიც არსებობს. ყველა არსების მოძრაობის დადგენა შეუიარაღებელი თვალით ძნელია.

მოძრაობა მატერიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა. მოძრაობა მატერიის არსებობის ფორმაა.

როგორ დააკავშირებთ მოძრაობასთან მიწისძვრას, ძლიერ ქარებს, ვულკანს, მცენარეების კვებას? ეს განიხილეთ თქვენს მეგობრებთან ერთად.

მოვლენები, რომელიც ჩვენს გარშემო ხდება – **მექანიკური, სითბო, სინათლე, ხმა** თუნდაც მცენარეების გაზრდა, ფოთლების სინათლისკენ, ხოლო ფესვების წყლისა და მიწის მიმართულებით გადაადგილება, რომელიც ჩვენ გვეჩვენება უმოძრაოდ, მათი მცირე სიჩქარის გამო, მოძრაობასთან არის კავშირში.

მცენარეებსა და სხვა ცოცხალ არსებების უჯრედებში წყალი, მინერალური ნივთიერებები და ბევრი სხვა ორგანული ნივთიერებები მოძრაობს. ამ მოძრაობის შედეგად ცოცხალი არსებები იკვებებიან, სუნთქავენ, იზრდებიან და ა.შ. გულის შეკუმშვა-გაფართოვებით სისხლი ყველა ორგანოს მიეწოდება და, შედეგად, უმეტეს ცხოველებში სხვადასხვა სახის მოძრაობები იჩენს თავს.

მორცხვი მიმოზას ფოთლები შეხებისას დაუყოვნებლივ დროებით იკეცება, მზესუმზირას ყვავილედი მზის მიმართულებით მიტრიალდება. ესენი მოძრაობებია.

არაცოცხალი სხეულები როგორიცაა ბურთი, ბავშვის ეტლი, მატარებელი, მათი მოძრაობისათვის ნებისმიერი ძალით ზემოქმედებაა საჭირო. როგორ გგონიათ, ნემსით ქაღალდის ნაკუწების ამოძრავებისთვის, მათზე რომელიმე ძალის მოქმედებაა საჭირო?

ბუნებაში მომხდარი მოვლენები: მიწისძვრა, ცუნამი, ატმოსფერული მოვლენებიც მოძრაობის შედეგად ხდება. ყველაზე დიდი დამანგრეველი ძალის მქონე მიწისძვრის დროს შეიძლება დედამიწის ზედაპირზე გარკვეული ტერიტორია აიწიოს, ხოლო გარკვეული ტერიტორია დაიწიოს.

შეიძლება ითქვას, რომ ატმოსფეროში ყოველდღიურად მომხდარი სხვადასხვა მოვლენების მოწმენი ვხდებით. ამ მოვლენების ნაწილს შედეგად მოჰყვება ნგრევები, ადამიანთა მსხვერპლი. ჰაერის მოძრაობის შედეგად წარმოქმნილი ქარის ძალის მომატება საშიში ბუნებრივი მოვლენების მიზეზი შეიძლება იყოს. ტორნადო და ტაიფუნები დამანგრეველი ქარის სახეობებია.

მიქცევის მოვლენა

მსოფლიო ოკეანეში წყალი მუდამ მოძრაობაშია. ოკეანეში წყლის მოძრაობაზე გავლენას ახდენს ქარი, წყალქვეშა მიწისძვრა და ვულკანური ამოფრქვევები. გარდა ამისა გავლენას ახდენს მთვარის და ნაწილობრივ მზის მიზიდულობის ძალა. მთვარის და ნაწილობრივ მზის მიზიდულობის ძალის ზეგავლენის

შედეგად წყლის ხმელეთზე გადმოსვლა – მოქცევა, ხოლო შემდეგ დაბრუნდება – მიქცევა ხდება. როგორც ხედავთ, ბუნებაში მომხდარი მოვლენები უმიზეზოდ არ ხდება. ამ მოვლენების საიდუმლოს ამოხსნაში თქვენ დაგეხმარებათ მიღებული ცოდნა და უნარები.

?

1. თუ ოთახის ერთ კუთხეში დაიღვარა სუნამო, მისი სუნი სწრაფადვე მთელ ოთახში გავრცელდება. თქვენ როგორ ფიქრობთ, ამის მიზეზი რა არის?

2. წყლის წვეთები ონკანიდან ერთი სწორი ხაზით ეცემა. შეიძლება დავარქვათ ამას მოძრაობა? ახსენით მიზეზი.

3. ბირთვული იარაღის რომელიმე ტერიტორიაზე გამოცდა იწვევს რადიაციის გავრცელებას მიმდებარე ტერიტორიებზე. ამას როგორ ახსნით?

4. შეაგროვეთ ინფორმაცია თუ რომელი ბუნებრივი პროცესების ზე-მოქმედების შედეგად წარმოიშვა მთები.

2. ურთიერთქმედებები ბუნებაში



უძველეს დროს, ადამიანებმა ბუნებაში მომხდარი ბევრი მოვლენების მიზეზები არ იცოდნენ. დროთა განმავლობაში დაკვირვებებმა და კვლევებმა ბუნებაში მომხდარი მოვლენების შესახებ უამრავი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა მოგვცა.

როგორც, ბუნებაში მომხდარი მოვლენებია სხვადასხვა ისევე, მათ შორის არსებული ურთიერთქმედებებიც სხვადასხვაა. ბევრი მოვლენის მიზეზიც სწორედ, რომ ურთიერთქმედებით არის ახსნილი.

ბუნებაში მომხდარი, რომელი მოვლენების დაკავშირება შეიძლება ურთიერთქმედებასთან?

მოცემულ ტექსტის მიხედვით დაადგინეთ ურთიერთქმედება.

ზაფხულის ერთ-ერთი ცხელი დღე იყო. ორი მეგობარი ვაშლის ხის ჩრდილში იჯდა. ერთმა მათგანმა ჯიბიდან ამოიღო ორი რეზინის ბუშტი, გაბერა და ერთმანეთს გაუსვა. ამით აჩვენა, რომ ბუშტები შეხებისას ხელს მიეკრო. მეორემ კი, ჰორიზონტის მხარეების დასადგენად, კომპასი მუშა მდგომარეობაში მოიყვანა. ამ დროს ქარმა ხიდან რამდენიმე ვაშლი ჩამოაგდო ძირს.

ბუნებაში არსებობს ოთხი სახის ურთიერთქმედება:

- *გრავიტაცია,*
- *ელექტრომაგნიტური,*
- *ძლიერი ურთიერთქმედება*
- *სუსტი ურთიერთქმედებაა*

ურთიერთქმედების ამ სახეობების შესახებ თქვენ ვრცლად შეიტყობთ მომდევნო კლასებში.

სხეულები მოძრაობის პროცესში ურთიერთქმედებაში არიან. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ურთიერთქმედებები სხვადასხვაგვარია: ქარი ხეს არხევს, ტყის ზოლი კი ქარის სიჩქარეს ამცირებს. ყველა სხეული ერთმანეთს იზიდავს. მაგნიტის ერთსახელა პოლუსები ერთმანეთს განიზიდავენ. ერთნაირი ნიშნით დამუხტული ორი სხეული ერთმანეთს განიზიდავს, საპირისპირო ნიშნით დამუხტული სხეულები კი ერთმანეთს იზიდავენ.

სხეულებს შორს ურთიერთქმედება შეიძლება მოხდეს როგორც შეხებისას, ასევე შეხების გარეშეც.

რკინის, ნიკელის ელემენტების და მაგნიტის ურთიერთქმედება შეხების გარეშეც ხდება. მაგნიტს იყენებენ მაცივრების კარების, რადიო და ტელევიზორების წარმოებაში, ასევე ფართოდ იყენებენ მძიმე ტვირთების აწევაში. ხოლო ბანკომატის და ტელეფონის ბარათები უნდა მოარიდოთ მაგნიტს. მაგნიტი შეიძლება გახდეს მათი მწყობრიდან გამოსვლის მიზეზი.

ფეხბურთის ბურთის მიმართულების შეცვლას, ჩანთის აწევას, ღრუბელის გაწურვას ძალის გამოყენება სჭირდება.

ამ დროს ძალის ზემოქმედებით ფეხბურთის ბურთი და ჩანთა მდებარეობას შეიცვლის, ღრუბელი შეიკუმშება, ხოლო შემდეგ პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნდება.

მატყლის ჯემპრის გახდისას, თმის დავარცხნისას და სხვა შემთხვევებში პატარა ნაპერწკლებს შეამჩნევთ. როგორ ახსნით ამ შემთხვევების გამომწვევ მიზეზს?

ურთიერთქმედება, რომ არ ყოფილიყო, ადამიანი მიწის ზედაპირზე ვერ გაივლიდა, სატრანსპორტო საშუალებები კი ვერ იმოძრავებდნენ. როგორც მიწის ზედაპირზე მოძრაობის დროს, ნიადაგს ჩვენ რა ძალითაც ვაწვებით, ასევე მიწაც იმავე ძალით ჩვენ წინ გვაწვება. რაც უფრო დიდია მიწოლის ძალა, ჩვენი მოძრაობა მით უფრო ადვილია.

ბუნებაში მომხდარი მოვლენების მიზეზისა და შედეგების ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია. ამის წყალობით ადამიანი შეისწავლის სასარგებლო მოვლენების მექნიზმს და მათი მიმდინარეობის აჩქარებასთან ერთად, შეუძლია ამ მოვლენების შესახებ წინასწარ შეგვატყობინოს. ზიანის მომტანი მოვლენების მიზეზის შესწავლის შემდეგ, შესაძლებელი გახდება მათი თავიდან აცილების გზების დადგენა.

1. მოღრუბლულ ამინდში ელვის გავრცელების მიზეზი შეისწავლეთ და რვეულში ჩაწერეთ.
2. მზე იზიდავს გარშემომყოფ პლანეტებს და არ აძლევს მათ დაშორების საშუალებას. წარმოვიდგინოთ, რომ მზის მიზიდულობა არ არსებობს. თქვენი აზრით რა მოხდება მაშინ?

3. ენერგია და ენერგიის გარდაქმნა

სხეულები გარკვეული ძალის ზემოქმედებით \ოძრაობისას რაღაც სამუშაოს ასრულებენ. სხეულების მიერ მუშაობის შესრულების დროს დამახასიათებელია ენერგიის გამოყოფა. ეს კონცეფცია ვრცელდება როგორც ცოცხალ ისევე, არაცოცხალ სამყაროში.

ენერგიის სახეობების ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებები გაიხსენეთ



მოცემული სქემა განიხილეთ მეგობრებთან ერთად.

ენერგიის სხვადასხვა სახეობები არსებობენ: **მექანიკური ენერგია, შინაგანი (სითბური) ენერგია** და სხვა.

დილით გაიღვიძებთ, სკოლაში წასასვლელად ემზადებით. ხელ-პირს იბანთ, კბილებს იხეხავთ, კიბეებზე ჩადიხართ, გზაზე მიდიხართ. სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე სხვადასხვა მოძრაობებს ასრულებთ, გაკვეთილის შემდეგ თავისუფალ დროს ფეხბურთს თამაშობთ. იცით, რომ ამ ყველაფრისთვის ენერგია იხარჯება?

მიღებული საკვები ხელს უწყობს ორგანიზმის ზრდას და ენერგიით უზრუნველყოფს

ადამიანი როდესაც სამუშაოს არ ასრულებს, მის ორგანიზმში ორგანული ნივთიერებების დაშლის შედეგად მაინც მუდმივად გამოიყოფა ენერგია. საკვები ნივთიერებების დაშლისას მათ შემადგენლობაში არსებული ქიმიური ენერგია ორგანიზმის მიერ გამოიყენება სითბური, მექანიკური და ელექტროენერგიის სახით. ამის შედეგად ორგანიზმი აქტიურ მდგომარეობაშია, ორგანოები მუშაობენ, სხეული მოძრაობს, თბება.



საბოლოოდ ენერგიის ყველა სახეობა გარდაიქმნება სითბურ ენერგიად. მისი ერთი ნაწილი სხეულის მუდმივი ტემპერატურას ინარჩუნებს ხოლო დანარჩენი კი, გარეთ იფანტება. ესე იგი, ჩვენს სხეულშიც ენერგია თავისით არ ჩნდება. ის ერთი სახეობიდან გარდაიქმნება სხვა სახეობად.

ორგანიზმი კვებისას

- **ენერგიის დანაკარგი აღდგება.**
- **ორგანიზმის უჯრედების და ქსოვილების აგების და განახლებისათვის წარმოიქმნება ნედლეული**
- **ორგანიზმის დაცვა, ორგანოების რეგულირებისთვის საჭირო ენერგია და ნივთიერებებით უზრუნველყოფა.**

ენერგიის ერთი ფორმის მეორეში გარდაქმნის მოვლენას ყოველდღიურ ცხოვრებაში ხვდებით. ელექტროძრავებში ელექტროენერგია გარდაიქმნება მექანიკურ ენერგიად, სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკაში კი, ელექტროენერგია გარდაიქმნება მექნიკურ, სითბურ, სინათლის და ბგერის ენერგიად.

რკინის ნაჭერს ჩაქუჩს თუ დაარტყავთ, მისი გაცხელების მომსწრენი გახდებით. ამ დროს მექანიკური ენერგია გარდაიქმნება სითბურ ენერგიად. გამოსხივების შედეგად სინათლის ენერგია გარდაიქმნება სითბურ ენერგიად.

ესე იგი, ბუნებაში მომხდარი მოვლენების ურთიერთქმედება, მოძრაობა და ენერგიის გარდაქმნასთან არის კავშირში. ყველა ენერგიის გარდაქმნისათვის ყოველთვის ერთი წესი არსებობს: ენერგია არ იკარგება და არ ჩნდება არაფრისგან. ის ერთი სახიდან სხვა სახეზე გარდაიქმნება.

!

კვების რაციონში გამოიყენება ცხიმებიც. ადამიანი როცა მშიერი რჩება სხეულში არსებული ცხიმები ენერგიის წყაროა. ხოლო ნორმაზე მეტი ცხიმის მიღება ზედმეტ წონას ქმნის და გასუქებას იწვევს.

?

1. ენერგიის ერთი ფორმის მეორეში გარდაქმნის საყოფაცხოვრებო მაგალითები წარმოადგინეთ.

2. ქვემოთ აღნიშნულების საფუძველზე ენერგიის გარდაქმნა განსაზღვრეთ.

მზის სხივებით ჭურჭელში წყლის გათბობა _____

ელეტრონათურის ნათება _____

უთოს გაცხელება _____

რკინის ნაჭრის მზის სხივებით გაცხელება _____

წყლის აორთქლება _____

ტყის ხანძარი _____

მეხის დაცემა _____

4. ადამიანი და გარემო

ბუნებაში ანთროპოგენური ცვლილებები ხშირ შემთხვევაში დადებით ხასიათს ატარებენ. მაგრამ ბუნებრივ პროცესებში ადამიანის ჩარევა, ზოგიერთ შემთხვევაში, ბუნების კანონზომიერებას არღვევს.

ამას თვითონ ადამიანისათვის არასასურველი შედეგები მოაქვს?

ბუნებისადმი არასწორი მიდგომით, ბუნებრივი რესურსებით არამიზანმიმართულად გამოყენებით ბუნებას ძალიან დიდი ზიანი ადგება. ბუნებაზე მიყენებული ზიანი თვითონ ადამიანისთვისაა უბედურების მომტანი, ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, გარემზე უარყოფით გავლენას ახდენს.

ატმოსფეროს დაბინძურებას საზღვარი არ აქვს. ბირთვული იარაღის რომელიმე ტერიტორიაზე გამოცდა მიმდებარე ტერიტორიებზე რადიაციის მომატების მიზეზი ხდება. იმიტომ, რომ რადიაციული მტვერის ნაწილაკები ძლიერ ქარებს შეუძლიათ გაავრცელოს შორ მანძილზე.

მომწამლავი ნივთიერებების ატმოსფეროში გავრცელებაში დიდი როლს თამაშობს სახნავ ნაკვეთებს, სადაც *პესტიციდებს** იყენებენ. ასეთ შემთხვევებში მავნე ნივთიერებები ქარით ვრცელდება შორ მანძილზე და სხვადასხვა უბედურებებს წარმოქმნის.

***პესტიციდი – მავნებლების, დაავადებების და სარეველების წინააღმდეგ გამოყენებული ქიმიური და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია.**

ხშირად პრესიდან, რადიო და ტელევიზიიდან იგებთ ინ-ფორმაციას ოზონის შრის გათხელების, ზოგ ადგილას ოზონის ხვრელის არსებობის შესახებ. მეცნიერები ამას უკავშირებენ, ატმოსფეროში მთელი რიგი ნივთიერებების, ძირითადად კი, ***ფრეონის**** მომატებას. ოზონის შრის გათხელების შედეგად, დედამიწაზე ულტრაიისფერმა სხივებმა მოიმატა, რაც ადამი-ანებში კანის დაავადებების გავრცელების და იმუნური სისტემის დასუსტების მიზეზია. ეს მოვლენა ასევე სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს ფლორასა და ფაუნაზე.

1994 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 16 სექტემბერი "ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღედ" გამოაცხადა.

1980 წელს მთელ რიგ ქვეყნებმა ხელი მოაწერეს მონრეალის ოქმს, რომ აღარ აწარმოებდნენ იმ ნივთიერე-ბებს, რომელიც ოზონის შრის დამშლელია.

წყლები ბინძურდება ნავთობის ნარ-ჩენებით, ქარხნებისა და ფაბრიკების და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით და საკანალიზაციო წყლების გაჟონვით. წყლის დაბინძურება მთელ რიგ ცოცხ-ალ არსებების რაოდენობას თანდათან ამცირებს, ასევე, საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესაც.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დიდი ხანია ნავთობი მოიპოვე-ბა. წარსულში ნავთობი „ღია შადრევანის" წესით მოიპოვებოდა. დიდი ხნის განმავლობაში, როგორც სანაპიროზე, ასევე ღია ზღ-ვაში მოქმედი ნავთობის ჭაბურღილებიდან იღვრებოდა ზღვაში ჩაედინებოდა დაბინძურებული წყლები. მილსადენებიდან გაჟონვებმა, ავარიული სიტუაციებში ზღვაში ჩაღვრილმა დიდი რაოდენობით ნავ-თობმა, კასპიის ეკოლოგიურ გარემოზე უარყოფითად იმოქმედა. მეგო-ბრებთან ერთად განიხილეთ წყლის ამგვარი დაბინძურების ზეგავლენა ცოცხალ ორგანიზმებზე.

ამჟამად ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც კაცობრიობას აწუხებს, პლანეტის ტემპერატურის ნორმაზე რამდენიმე გრადუსით ზრდაა.

***ფრეონი — გაზის ან და თხევადი აირის სახის ნივთიერებების ჯგუფი.**

სათბურის ეფექტის* სახელით ცნობილი ეს პრობლემაც თვითონ ადამიანის მიერ არის წარმოქმნილი. ამის შედეგად კლიმატური ცვლილებების აქტიური პროცესი მიმდინარეობს, რაც იწვევს პოლარული ყინულების დნობას, უხვ ნალექებს, წყალდიდობის, ზოგან კი გვალვებს.

დედამიწა უამრავი ცოცხალი არსების საცხოვრებელი ადგილია. ადამიანები უხვი მოსავლის ასაღებად მიწას სასუქს აყრიან. ეს სასუქები მოსავლიანობას კი ზრდის, მაგრამ ზედმეტი სასუქის შეტანის შემთხვევაში ნიადაგს უსარგებლოს ხდის. ზედმეტი სასუქის გამოყენებით, მოყვანილი ხილი და ბოსტნეული ადამიანებში მოწამვლას და სხვადასხვა დაავადებებს იწვევს, ასევე მიწაში არსებული უამრავი ცოცხალი არსების განადგურების გამომწვევი მიზეზია.

მსხვილი ქარხნების გარშემო ნიადაგი ძალიან დაბინძურებულია. ქარხნების მილებიდან გამოსული მომწამლავი ნივთიერებები დროთა განმავლობაში ილექება მის გარშემო და ამ მიწებს უსარგებლოს ხდის. ბაქოს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მიმდებარე ნიადაგი ნავთობით ბინძურდება. ძირითადად, აფშერონის ნახევარკუნძულზე, კობუსთანში და შირვან-მუღანის ტერიტორიაზე მიწები ნავთობის და ნავთობპროდუქტებით ძალიან დაბინძურებულა.

პრეზიდენტი ილჰამ ალიევმა „აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ 2006-2010 წლებისათვის კომპლექსური ღონისძიებების გეგმა“ დაამტკიცა.

!

ამჟამად კაცობრიობისთვის ბუნების დაცვა გლობალური პრობლემაა. ბუნების დაცვისთვის სხვადასხვა ხელშეკრულებები ფორმდება, პროექტები ხორციელდება, ხელი ეწერება შეთანხმებებს.

1. სკოლის და საცხოვრებელი ტერიტორიის მახლობლად გარემოს დაბინძურების მიზეზების ჩამონათვალი შეადგინეთ.
2. რა ზეგავლენა აქვს ჯანსაღ ეკოლოგიურ გარემოს ადამიანის აქტიურობაზე? აზრები ჩაწერეთ თქვენს რვეულში.
3. რა გავლენა აქვს ცოცხალი არსებების ბუნებრივ თანაცხოვრებაზე მათი სახეობებიდან ერთ-ერთის განადგურებას სხვა სახეობებზე? თუ ბუნებაში ფუტკრებს სკები დაენგრევათ, მაშინ რა მოხდება?
***4. დაასრულეთ ტექსტი** _____*

?

***სათბურის ეფექტი - ჰაერში ნახშირორჟანგის მომატების ფონზე ტემპერატურის მომატება**

5. ტყეები ჩვენი პლანეტის „ფილტვებია“

ლეილა განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული „ტყეები ჩვენი პლანეტის „ფილტვებია“, “დაიცავით ტყეები” თემატიკის ესეების კონკურსის გამარჯვებულია.

– თქვენი აზრით რატომ უწოდებენ ტყეებს ჩვენი პლანეტის „ფილტვებს“?

– ტყეების განადგურება რატომ არის გლობალური პრობლემა?

ჩვენი რესპუბლიკის ტყით დაფარული საერთო ფართობი დაახლოებით 12 პროცენტია. ეკოლოგებმა, მეცნიერებმა განგაში ატეხეს იმის გამო, რომ ტყეები დიდი სისწრაფით იჩეხება. ეკოლოგიური კრიზისი თანდათანობით მკვეთრად იჩენს თავს. ეს კი გარემოს დაცვის სფეროში გლობალური მასშტაბის პროექტების განხორციელებას მოითხოვს. მსოფლიო მეცნიერები ტყეებს მარტო ნედლეულის წყაროდ კი არა, პლანეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითად წყაროდ მიიჩნევენ. ტყეების გაჩეხვისას მცენარეთა სახეობები ქრებიან, გარემო ბინძურდება, საკვები რაციონი ღარიბდება, ამის შედეგად ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა დაავადებები ჩნდება.



მოცემული სურათების მიხედვით, ადამიანის მოქმედება ტყეებზე, პირდაპირი და ირიბი გზების მიხედვით დააჯგუფეთ და შედეგები განიხილეთ.

ჰაერის ჟანგბადით გამდიდრება, დაავადებების გამომწვევი ბაქტერიების განადგურება, მეწყერის პრევენციის, ფოთლების მეშვეობით ნახშირორჟანის შთანთქმის შედეგად ჰაერის გაწმენდა და ა. შ. კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ტყე დიდად სასარგებლოა. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ადამიანი არის პირდაპირი და არაპირდაპირი გზებით ტყეების განადგურების მიზეზი.

ტყის ხანძრები პლანეტის ეკოლოგიური ბალანსის დარღვევის მიზეზია. ტყეების როლი ნახშირორჟანგის შთანთქმასა და კლიმატური ბალანსისათვის მნიშვნელოვანია, ტყის ხანძრები კი, ამ სასიცოცხლო პროცესს არღვევს. წვის პროცესში ატმოსფეროში დიდი რაოდენობით სხვადასხვა ქიმიური ნაერთები, და ძირითადად – ნახშირორჟანგი იმატებს.

ხანძრები ტყის ეკოსისტემების და მიწის ზედა ფენის განადგურებას იწვევს, აბინძურებს ჰაერს და წყალს. არამარტო ტყის ხანძარი, არამედ ნებისმიერი სახის ხანძარი ეკოლოგიას ზიანს აყენებს.

მოდით და მუდამ იმ დედა ბუნების სიმდიდრეზე ვიზრუნოთ, რომელიც ჩვენ გვჩუქნის ამდენ სილამაზეს, სიყვარულით მოვეპყრათ, მუდამ დავიცვათ და შევინახოთ იგი.

ტყეების განადგურება მხოლოდ ატმოსფეროში ჟანგბადის კლებას არ იწვევს. ის ამავდროულად იწვევს გვალვებს, *მიწის ეროზიას** და მეწყერების წარმოშობას. აჩქარებს გაუდაბნოებას, წყალდიდობას, დატბორვას, ქარიშხალებს, კლიმატისა და რელიეფის მკვეთრ ცვლილებებს და სხვა.

პლანეტის მოსახლეობისათვის „გაუდაბნოება“ შიშის მომგვრელი სიტყვაა. ამ პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს მთელი მსოფლიოს ქვეყნების მცდელობათა გაერთიანებას. სწორედ ამისათვის მიიღო გაერომ გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია.

***მიწის ეროზია – მიწის ჩამორეცხვა, დაშლა**

ჩვენ რესპუბლიკაში ბოლო წლების განმავლობაში ტყეების გაჩეხვის პრევენციის მიმართულებით მთელი რიგი ღონისძიებები ხორციელდება. ტყეების ფართობი ყოველ წელს 4 ათასი ჰექტარით იზრდება. დღეს აზერბაიჯანის სახელმწიფო უერთდება საერთაშორისო კონვენციებს. მწვანე ზოლის დასაცავად სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები, პრეზიდენტის მიერ გაცემული ბრძანებულებები ბუნებაზე ზრუნვის ამსახველი გახლავთ.

ეროზია

?

1. თუ ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობთ, ხეები იჩეხება, დაადგინეთ მისი გავლენა ამ ტერიტორიის ბინადრებზე.

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან აირჩიეთ რომელს შეუძლია ზიანის მიყენება ტყეზე.

ასანთი, დანა, კოცონი, წყლის ნაკადების ამოშრობა, ხეების ჭრა, კომპასი, ფრინველის ბუდე, ველოსიპედი, მაგნიტოფონი, თევზსაჭერი ბადე, ტელეფონი, თოკი, ხერხი, გამდინარე წყლების მიმართულების შეცვლა, ტყიდან მიწის გაზიდვა.

3. ფუადი სოფელში ცხოვრობს. ვინაიდან მათ სოფელს არ მიეწოდება ბუნებრივი აირი, იგი ტყეში მიდის შეშის მოსატანად. მას უნდოდა მწვანე ხის მოჭრა რომლის ტოტებზეც იყო რამდენიმე ფრინველის ბუდე, მაგრამ ვერ გაიმეტა. შეადგინეთ ტექსტი, ფუადის მიერ ამ ხის მოჭრის შემთხვევაში ბუნებაზე მიყენებულ ზიანის შესახებ.

4. ტყის გაჩეხვის შედეგად ქვემოთ ჩამოთვლილი კვებითი ჯაჭვი დაირღვევა?

ეს კვებით ჯაჭვი რვეულში დაასრულეთ და მეგობრებთან იმსჯელეთ.



5. ტყეების დაცვის მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მოაგროვეთ ინფორმაცია და მოამზადეთ პრეზენტაცია.

6. მომზადეთ პლაკატი ან სიმბოლო, გარემოს დაცვის შესახებ.

საზოგადოების მოთხოვნილებები

1. საზოგადოების ცხოვრება
2. ეკონომიკის როლი საზოგადოების ცხოვრებაში
3. შრომის დაყოფა
4. შრომა და მისი სახეობები
5. ჩვენი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები
6. სახელმწიფო მმართველობის ფორმები
7. საზოგადოება და ორგანიზაციები
8. საზოგადოება და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა
9. სამართლის დარგები
10. განათლების უფლება კონსტიტუციაში

1. საზოგადოების ცხოვრება

ადამიანებს ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტი აქვთ, მათ შორის არსებული დამოკიდებულება საზოგადოების ცხოვრებაში ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. თქვენ უკვე ფლობთ გარკვეულ ცოდნას საზოგადოებასა და მისი ფორმირების შესახებ. დროთა განმავლობაში საზოგადოებაში ცვლილებები სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს. მოგეხსენებათ, საზოგადოების მართვაში ძირითადი როლი აქვს სახელმწიფოს. სახელმწიფო საკანონმდებლო აქტების მიღებით საზოგადოების ცხოვრებას არეგულირებს.

რა როლი აკისრიათ მოქალაქეებს საზოგადოებაში? ისინი რა გავლენას ახდენენ საზოგადოების მართვაში?

საზოგადოების ცნება მეგობრებთან განიხილეთ.

ტელევიზორში, ინტერნეტში, სკოლაში, ჟურნალსა და გაზეთებიდან ხშირად გვესმის, ჩვენი საზოგადოების საჭიროებების თაობაზე (მისწრაფებები), საზოგადოების პრობლემები, მოქალაქეების მოთხოვნები და ა.შ.

ყველა მოქალაქე საზოგადოების წევრია. მოქალაქე ის პიროვნებაა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ცხოვრებაში. მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების პრობლემათა გადაწყვეტაში და გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღებაზე.

მოქალაქეთა საზოგადოება – ადამიანთა ერთობაა, რომელიც პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურულ სფეროებში ნებაყოფლობით შექმნილ არასამთავრობო სტრუქტურებს აერთიანებს. ზოგადად, განვითარებული კულტურული, სამართლებრივი და პოლიტიკური ურთიერთობების საფუძველზე აგებული საზოგადოება იგულისხმება. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საზოგადოების ცხოვრებაში ქვემოთ ჩამოთვლილები თამაშობენ როლს:

პროფკავშირები

- პოლიტიკური პარტიები
- შემოქმედებითი გაერთიანებები
- რელიგიური გაერთიანებები
- განათლების ცენტრები და ა.შ

საზოგადოების ცხოვრება შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე მიმართულებით:

ეკონომიკური ცხოვრება	სოციალური ცხოვრება	პოლიტიკური ცხოვრება	მორალური ცხოვრება

საზოგადოების ცხოვრებაში ეკონომიკას ძირითადი ადგილი უკავია. რომელიმე პროტუქტის დამზადება, მისი წარმოება, ყიდვა, გაყიდვა და ა.შ. ამის მაგალითია.

საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში ადამიანების სოციალური ურთერთობებიც შედის. ადამიანის ცხოვრების წესში მსგავსებები, მათ სოციალურ ჯგუფებში აერთიანებს.

საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება კი, პოლიტიკურ პროცესებზეა დამოკიდებული. პოლიტიკა მოქალაქეების სურვილების რეალიზაციის საშუალებაა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ხალხის ინტერესებს ემსახურება და საერთაშორისო არენაზე ჩვენი ქვეყნის პოზიციებს აძლიერებს.

თქვენ რომელი მაგალითის მოყვანა შეგიძლიათ საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების შესახებ?

საზოგადოების მორალურ ცხოვრებას კულტურა, მსოფლმხედველობა, ტრადიციები, განათლება, პროფესიული საქმიანობა ეკუთვნის. ყოველი ადამიანის ქცევა, გრძნობები, სურვილები და სხვა, საზოგადოების მორალური ცხოვრების შემადგენლობაში შედის. თითოეული ჩვენთაგანი გარშემო სილამაზეს, პატიოსნებასა და სიწმინდეს ვეძებთ. ჩვენი საცხოვრებელი ტერიტორიის სუფთად შენახვა, ადამიანების ცივილიზებული ქცევის წესების დაცვა, ერთმანეთის მიმართ პატივისცემა და სხვა მსგავსი მაგალითები ჩვენი მორალური ცხოვრების ერთი ნაწილია.

აქვს გავლენა მორალურ ცხოვრებას სოციალურ ცხოვრებაზე? დაასაბუთეთ თქვენი მასაზრება.

საზოგადოების ცხოვრება მუდამ ვითარდება და იცვლება. ამჟამად ჩვენ ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. ყოველივე ამასთან ერთად, ხალხის კუთვნილი ეროვნული ტრადიციული ღირებულებები საგულდაგულოდაა დაცული.

?

1. გვიამბეთ საზოგადოების ცხოვრების მიმართულების შესახებ.
2. რა იგულისხმება საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში? თქვენი მოსაზრებები რვეულში ჩაწერეთ.
3. მოიყვანეთ მაგალითები საზოგადოების სოციალური ცხოვრების შესახებ.
4. გამოხატეთ თქვენი აზრი საზოგადოების მორალური ცხოვრების შესახებ. თანაკლასელებთან ერთად თქვენი მორალური მოთხოვნილებების ჩამონათვალი გააკეთეთ.

2. ეკონომიკის როლი საზოგადოების ცხოვრებაში

სკოლაში მოსწავლეები ზეიმისთვის ემზადებოდნენ. ლემანს ამ ზეიმში ჩასაცმელად ტანსაცმელი არ აქვს. დედას სთხოვა, რომ მისთვის ახალი ტანსაცმელი ეყიდა. ჩიჩაქმა კი, მამას სთხოვა, რომ მისთვის ფეხსაცმელი იყიდოს. იბრაჰიმმა მეზღვაურის ფორმა უნდა შეაკერინოს, რადგან იგი მეზღვაურის როლს შეასრულებს.

როგორც იცით, ცხოვრებაში ჩვენთვის საკვებთან ერთად ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სახლი და კიდევ უამრავი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სხვა ნივთებიც გვჭირდება.

როგორ მოხდა, რომ ისინი საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ?

ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ ბუნების საიდუმლოებების შესწავლას. ადამიანი, რომელიც ადრე ბუნებიდან მოსავალს მზა სახით იღებდა, დაიწყო მისი მომატების სხვადასხვა გზებზე ფიქრი. ბუნებრივია, რომ ყველა პროდუქტი ადამიანებს მზა სახით არ ეძლევა. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა პროდუქციის მისაღებად ადამიანებმა დროთა განმავლობაში მათი წარმოება გააუმჯობესეს. მუშახელის შრომის, მანქანის შრომით ჩანაცვლებამ წარმოება ააჩქარა. ფაბრიკისა და ქარხნების აშენებამ, მოკლე დროში, ხარისხიანი პროდუქტების გამოჩენას ხელი შეუწყო.

საზოგადოების მოთხოვნილებები უსასრულოა. მისი პროდუქციისადმი არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების საფუძველს კი, ეკონომიკა წარმოადგენს. თუ დააკვირდებით, დაადგენთ, რომ საზოგადოებაში ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს ეკონომიკური ურთიერთობები იკავებენ.

დაადგინეთ ეკონომიკის მნიშვნელოვანი ადგილი საზოგადოებაში.

ეკონომიკა მოიცავს წარმოების (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, სატვირთო გადაზიდვების და სხვა) და არასამეწარმეო (განათლება, ჯანდაცვა, საბინაო-კომუნალური მომსახურება და სხვა) სფეროებს.

ჩვენს ქვეყანაში არსებული წარმოების სფეროების შესახებ იმსჯელეთ და შედეგი რვეულში ჩაწერეთ.

წარმოება – პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მატერიალური სიკეთის შექმნას. ის ხორციელდება როგორც კომპანიების, დაწესებულებებსა და ასოციაციების მიერ ისევე, ***სააქციო საზოგადოებების**** მიერ. გარდა ამისა, არსებობს შინამეურნეობების ეკონომიკაც.

***სააქციო საზოგადოება – ეკონომიკური დაწესებულება, იურიდიული პირის გავრცელებული ფორმა ორგანიზაციული თვალსაზრისით.**

ცნობილი ამერიკელმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა პაოლ სამუელსონმა გაახმოვანა შემდეგი აზრი ეკონომიკურ თეორიასთან დაკავშირებით: ეკონომიკური თეორია სხვადასხვა პროდუქციის წარმოების, ეხლა და მომავალში წარმოების მიზნით სხვადასხვა ადამიანებსა და ჯგუფებს შორის რესურსების გაყოფის, ადამიანების ან საზოგადოების მიერ ფულადი დახმარებით ან მისგარეშე იშვიათი რესურსების პროდუქტიული გამოყენების შესახებ მეცნიერებაა. განიხილეთ ეს იდეა.*

საზოგადოება ეკონომიკის გარეშე წარმოუდგენელია. საზოგადოების ჩამოყალიბებიდან დღემდე მომხდარი პროცესები ეკონომიკასთან არის კავშირში. ადამიანმა იბრძოლა გადარჩენისთვის. მისი განვითარებით გამოწვეულია მოთხოვნილების ზრდა.

ეროვნულმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა თქვა: „ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს, შეუძლია ყველაფერი“.

ჩვენს რესპუბლიკაშიც ვითარდება ეკონომიკა. ეკონომიკისა და მრეწველობის სამინისტროს შექმნა ამ საკითხის მიმართ ყურადღების ზრდასთან არის დაკავშირებული. გატარებული რეფორმების შედეგად ქვეყანაში ეკონომიკის სფეროში მიღწეული იქნა დიდი წარმატებები. ეკონომიკური განვითარება ხალხის კეთილდღეობაზე აისახება.

1. გააკეთეთ თქვენი ყოველდღიური მოთხოვნილებების ჩამონათვალი.
2. ეკონომიკასთან დაკავშირებით ჰეიდარ ალიევის აზრი სათაურად აირჩიეთ და დაწერეთ ესსე.
3. როგორ გესმით ეკონომიკის როლი საზოგადოების ცხოვრებაში?
4. მოიყვანეთ მაგალითი საზოგადოების მართვაში ეკონომიკის როლის შესახებთ.

*პროდუქცია – სარეალიზაციო საქონელი

3. შრომის დაყოფა

მოსწავლეები სკოლაში კლასის კედლის გაზეთს ამზადებენ. ისინი ერთად მუშაობენ. იმისათვის, რომ სამუშაო გაუადვილდეთ, ისინი ანაწილებენ საქმეს. რაუფს ხატვა ეხერხება უკეთესად. აქედან გამომდინარე, გაზეთის ხატვის საქმე მას ევალება. ასმარმა კი, დიზაინს უნდა მიხედოს. ერთი სიტყვით, კედლის გაზეთის მომზადებაზე თითოეული მოსწავლეს საქმე განაწილებული აქვთ.

თქვენ კლასში რაიმე საქმის გაკეთებისას სამუშაოებს ასე ანაწილებთ?

თუ გაგინაწილებიათ, ეს განაწილება წერილობით აღწერეთ თქვენს რვეულში.

ალბათ, გსმენიათ ასეთი ნათქვამი: **შრომა, გამოჰყოფს ადამიანს ცხოველთა სამყაროსგან.** შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ შრომა ძალიან დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე. თუ ჩვენ გადავხედავთ ისტორიას, დავინახავთ, რომ პირველყოფილი ადამიანი უძლური იყო ბუნების წინაშე. დროთა განმავლობაში მან დაიწყო გამოსავალი გზის ძებნა, რათა არ ყოფილიყო დამოკიდებული ბუნებაზე. როგორ ებრძოდნენ ისინი ბუნებას? ამ კითხვაზე პასუხი, რომ ვიპოვოთ, ყურადღება გავამახვილოთ საზოგადოების განვითარების ისტორიაზე.

პირველყოფილი ადამიანი ბუნებასთან ბრძოლით დაეუფლა მიწათმოქმედებას და მეცხოველეობის გაძღოლის ცოდნას. მოგვიანებით, მეურნეობის სხვა დარგების განვითარება დაიწყეს. მეცხოველეები უხვბალახიანი ტერიტორიებისკენ მიემართებოდნენ, მიწათმოქმედნი კი, ცდილობდნენ უფრო ნაყოფიერი მიწების და წყლის რესურსებთან სიახლოვეს ყოფილიყვნენ.

შესაბამისად, მიწათმოქმედება და მეცხოველეობა გადაიქცა დამოუკიდებელი სფეროდ. ამ სფეროების ერთმანეთისგან გამოყოფას **პირველი საზოგადოებრივი შრომის გაყოფა ჰქვია.**



მიწათმოქმედნი ძველ ეგვიპტეში

მეცხოველეობა

დროთა განმავლობაში ზოგიერთ საქონელზე მოთხოვნა გაიზარდა. გაზრდილმა მოთხოვნილებებმა შეუქმნა პირობა და ხელოსნობა გამოიყოფ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობისაგან. ამ დამოუკიდ-ებლობამ განაპირობა მეორე საზოგადოებრივი შრომის გაყოფა. ხელოს-ნების სხვადასხვა ხელობის პროდუქცია, თიხის ჭურჭელი, ნამგალი, ცული და სხვა აკმაყოფილებდა ადამიანების მოთხოვნილებას.

მეთუნე

მეორე საზოგადოებრივი შრომის გაყოფის პერიოდი ის-ტორიის გაკვეთილებიდან იცით. გამოიკვლიეთ მისი შექმნის ფაქტორები.

ადრე პროდუქცია პირადი მოთხოვნებისთვის იყო გათვალ-ისწინებული, ხოლო მოგვიანებით გაცვლასა და გასაყიდად ამზადებენ. მიწათმოქმედმა დაიწყო თავისი საქონელის ხელოსანთან, ხელოსანმა მეცხოველესთან, ხოლო მეცხოველემ მიწათმოქმედთან გაცვლა.

ამის შედეგად გასაყიდი საქონლის წარმოება გადამწყვეტ ფაქტორად გადაიქცა. გასაყიდი საქონელის გაცვლასთან დაკავშირებით დაიწყეს მუშაობა, სპეციალურმა ადამიანებმა – ვაჭრებმა. ვაჭრობის განვითარებამ განაპირობა – **მესამე საზოგადოებრივი შრომის გაყოფა.**

ვაჭრები

რა გახდა მიზეზი მესამე საზოგადოებრივი შრომის გაყოფის? ამის თაობაზე თანაკლასელებთან იმსჯელეთ.

მიწათმოქმედებამ, მეცხოველეობამ და ხელოსნობამ ვაჭრობის წარმოქმნას შეუქმნა პირობა. მოგვიანებით, ეკონომიკის და ვაჭრობის გაძლიერების მიზეზით საზოგადოებრივი შრომის გაყოფამ, საზოგადოების ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა. დროთა განმავლობაში შრომის სხვადასხვა სახეობების ჩამოყალიბება და გამრავლება დაიწყო.

1. რა გავლენა მოახდინა შრომის გაყოფის შექმნამ ეკონომიკურ ცხოვრებაზე?
2. არის თქვენ ოჯახში შრომის გაყოფა? შექმენით ცხრილი და დაადგინეთ.

ოჯახის წევრები	შესრულებული სამუშაოები

4. შრომა და მისი სახეობები

ჰუმაის ოცნებაა გახდეს ექიმი. ის გაკვეთილებს კარგად სწავლობს, რომ აისრულოს ოცნება, ყოველდღე შრომობს. მამა მშენებლობაზე მუშაობს. ხოლო დედა მასწავლებელია. პაპა ავტობუსის მძღოლია. ბებია ხშირად სხვადასხვა ტანსაცმელს კერავს და ჰუმაისთვის საჩუქრები მოაქვს. იმიტომ, რომ ბებია მკერავია.





ხედავთ, რომ ჰუმაის ოჯახის წევრები სხვადასხვა სფეროებში მუშაობენ.

შრომის სფეროები, რომელშიც თქვენი ოჯახის წევრები მუშაობენ, რომელ სახეობას მიეკუთვნება?

ადამიანი ყოველთვის მიისწრაფოდა განვითარებისკენ. ადამიანთა საზოგადოებამ გაიარა განვითარების სხვადასხვა ეტაპები და ამას მიაღწიეს. მარტივი შრომის იარაღები შეცვალა რთული მექანიკური შრომის იარაღებმა.

შრომა საზოგადოების განვითარების ძირითადი პირობაა. ადამიანები, უძველესი დროიდან, თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა შრომის სახეობებით იყვნენ დაკავებულები. ისინი საკვების მოპოვებისათვის, სახლის ასაშენებლად, ხვნა-თესვისას იყენებდნენ სხვადასხვა ხერხებსა და საშუალებებს, ასევე, სხვადასხვა შრომის იარაღებს.

საზოგადოებაში ურთიერთობების საფუძველი შრომითი ურთიერთობებია. შრომის გაყოფა და მისი სხვადასხვა ფორმების განვითარებისას, ადამიანებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები გაფართოებულია.

ახალ-ახალი შრომის სახეობები (ფიზიკური, გონებრივი, იოლი, რთული და სხვა) ყალიბდებოდა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 35-ე მუხლში აღნიშნულია, რომ შრომა პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძველია. ყველას აქვს უფლება, შრომისუნარიანობის საფუძველზე თავისუფლად აირჩიოს საქმიანობის ტიპი, პროფესია, შეირჩიოს სამუშაო ადგილი და დაკავდეს სურვილისამებრ.

!

ცნობილია, რომ ადამიანი ასრულებს, როგორც ფიზიკურ ისევე გონებრივ სამუშაოს. ამ ორივე სახეობაზე ადამიანს როგორც ხელები ისევე ტვინი ფუნქციონირებს. ფიზიკური სამუშაოს თაობაზე შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი – კალატოზის მიერ სახლის აშენება, დურგალის მიერ ფიცრის გათლა. გონებრივი შრომა კი, მეცნიერულ კვლევას, ბუღალტერის მიერ საანგარიშო ოპერაციის შესრულებას და სხვა ამგვარ სამუშაოებს მოიცავს.

მაგალითად, თქვენ როდესაც დავალებებს ამზადებთ, ხართ დაკავებული გონებრივი შრომით. მაგრამ ამ დროს, შეიძლება რაღაცას წერთ ან ხატავთ, ანუ პროცესში უმნიშვნელო ფიზიკური აქტივობა მაინც არის. როდესაც ეხმარებით ოჯახს სახლის საქმეებში, სკოლაში საკლასო ოთახის გასუფთავებისას და სკოლის მიმდებარე ტერიტორიის გასუფთავებაში მონაწილეობისას, ხართ დაკავებული ფიზიკური შრომით, ამ შემთხვევაშიც კი ტვინში ყველაზე ადვილი სამუშაოების გეგმის შესრულების გზებზე ფიქრობთ. დროთა განმავლობაში მოთხოვნილებები შეიცვლება. თქვენი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, აირჩევთ თქვენთვის სასურველ პროფესიას. ზოგიერთ თქვენთაგანი აირჩევს ფიზიკურ შრომას, ზოგიერთი კი გონებრივი სამუშაოს მიმართ გამოიჩენს ინტერესს და ამით ააწყობთ თქვენს ცხოვრებას.

შრომის სხვადასხვა სახეობებით მომუშავე სპეციალისტების პროფესიონალიზმი ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში აუცილებელია. სპეციალისტებისთვის განათლება და კომპეტენტურობა გარდაუვალია. თითოეული ქვეყნისთვის ეს არის ეკონომიკური და სოციალური განვითარების რესურსი.

ძვირფასო მეგობრებო, მიუხედავად იმისა, თუ შრომის რომელი ფორმით იქნებით დაკავებული, ეცადეთ იყოთ საზოგადოებისთვის სასარგებლო. თქვენი ბედნიერება თქვენს ხელშია!

1. ყოველდღიურ ცხოვრებაში შესრულებული სამუშაოების სია შეადგინეთ და აღნიშნეთ, რომელ შრომის სახეობას ეკუთვნის ის.
2. დაწერეთ ესსე, მომავალში რომელ პროფესიას დაეუფლებით.
3. შრომა და მისი სახეობების როლი, რისგან შედგება ეკონომიკური პროცესები?
4. გააკეთეთ კომენტარი, ეკონომიკური პროცესებში შრომის სახეობების როლზე.

?

5. ჩვენი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები

უღური დაბადებულია აზერბაიჯანში. ის, დედაქალაქ ბაქოში ცხოვრობს. დეიდაშვილი ინჯიმი კი, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელია, დაბადებული და გაზრდილია მოსკოვში. აზერბაიჯანში სტუმრად მოსულმა ინჯიმიმ უღურს სთხოვა, რომ მოეყოლა ჩვენი სახელმწიფოს შესახებ. უღურმა მას, ჩვენი ისტორიული ადგილებისა და სახელმწიფოს შესახებ უამბო.

თქვენ რაც იცით სახელმწიფოს შესახებ, განიხილეთ თქვენ სთანაკლასელებთან და ჩაწერეთ რვეულში.

აზერბაიჯანი არის უძველესი სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე ქვეყანა.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეიქმნა პირველი სახელმწიფო – მანნაა.

სამას წლამდე არსებობის შემდეგ მანნას სახელმწიფო დაიშალა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფო დაარსდა.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილ რომელ ქვეყნებს იცნობთ?

SEFEVİANTA SAHƏLMƏWİFƏ

STRATEGİYULAD DİDİ MNİŞVNELOBİS MİQWEBS MUDAM TAVS ESHMODNENE GADAMTIELEBI. MAGRAM UCHOELTA LAMCROBEBMA, ROMLEBIC ERTMANETS CVLIDNENE, CVENI SAHELMWIFOEBRIOBIS TRADICIEBS HELI VERI SEUSALA. AM TERITORIAZE SEQMNILMA SAHELMWIFOEBMA QVEYNIS EKONOMIKURI, POLITIKURI DA KULTURULI CHOVREBIS AMAGLEBA SEMLES.

XVI საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანში სახელმწიფოებრიობის ახალი ისტორიული ეტაპი დაიწყო. შაჰ I ისმაილმა აზერბაიჯანის ყველა მიწა გააერთიანა თავისი მმართველობის ქვეშ. ცენტრალიზებულმა სეფევიანთა სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენი ხალხის ისტორიაში.

აზერბაიჯანს სახელმწიფოებრიობის ტრადიცია აქვს? დაასაბუთეთ ეს აზრი.

1828 წელს ჩვენი მიწები რუსეთსა და ირანს შორის გაიყო და ოკუპირებული იქნა. ამ ოკუპაციისგან განთავისუფლების მიზნით, როგორც, ჩრდილოეთ ასევე სამხრეთ აზერბაიჯანში თავისუფლებისთვის ბრძოლები იყო გამართული. ამის შედეგად ჩრდილოეთ აზერბაიჯანში 1918 წლის 28 მაისს აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკა შეიქმნა და ეს რესპუბლიკა აღმოსავლეთში, მათ შორის, თურქულ ისლამურ სამყაროში პირველი დემოკრატიული, სამართლებრივი და საერო სახელმწიფო იყო.

კონსტიტუციის საფუძველზე დაამტკიცეთ, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკა არის დემოკრატიული სახელმწიფო.

აზერბაიჯანი სახალხო რესპუბლიკაა, რომელმაც ყველა სფეროში გაატარა რეფორმები, ასევე გადადგა წარმატებული ნაბიჯები საგარეო პოლიტიკაშიც. მსოფლიოში ბევრმა ქვეყანამ ოფიციალურად აღიარა აზერბაიჯანის სახალხო რესპუბლიკა. სახელმწიფომ, რომელმაც 23 თვის განმავლობაში მიაღწია დიდ წარმატებას, საბჭოთა რუსეთის მიერ დამხობილი იქნა. 70-წლიან მონობაში დარჩენილმა ხალხმა 1991 წელს ახლიდან მოიპოვა დამოუკიდებლობა.

!

ამონარიდი - აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციიდან
მუხლი 26-ე
I. ყველას აქვს უფლება დაიცვას თავისი უფლებები და თავისუფლებები იმ წესებით და საშუალებებით, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.
II. სახელმწიფო არის გარანტი ყველას უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის.

კონსტიტუციის ეს მუხლი წაიკითხეთ და განიხილეთ.

დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკას აქვს წარმატებული პოლიტიკა. ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის შორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ ქვეყანას წინსვლის საშუალება მისცა. ამ პოლიტიკის გამგრძელებელი ილჰამ ალიევი სახელმწიფოებრიობის სახელით ბევრ რეფორმებს ატარებს. საგარეო და საშინაო პოლიტიკაში წარმატებამიღწეული ქვეყნის მეთაური დიდი ძალისხმევით ცდილობს სომეხი ოკუპანტების მიერ დროებით დაპყრობილი მიწების დაბრუნებას. ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის დაწყებული გზის გამგრძელებელი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტია, ამ მიმართულებით, ყველა საშუალებების გამოყენებით, დაუღლელად აგრძელებს სვლას.

?

1. დაწერეთ ესსე თემაზე "ჩვენი უძველესი სახელმწიფოებრიობა.
2. სეფევიანთა სახელმწიფოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მართვის ფორმები განასხვავეთ ერთმანეთისაგან.
3. იმსჯელეთ ქვეყნის ისტორიაში საერთო ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის როლის შესახებ. ამის შესახებ აზრები რვეულში ჩაწერეთ.

6. სახელმწიფო მმართველობის ფორმები

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევია. ჩვენმა ხალხმა ის არჩევნებზე ხმის მიცემის გზით აირჩია. ყველამ იცით ამის შესახებ.

ნეტავ ეს ასეა, მსოფლიოს მთელს ქვეყნებში? მოდით ერთად გავარკვიოთ

როცა, სახელმწიფო მმართველობის ფორმებზეა საუბარი, იგულისხმება შემდეგი:

სახელწიფო მეთაურის ფუნქცია, სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება, უფლებამოსილებების გადანაწილება და სხვა.

ამ მხრივ, სახელმწიფოები იყოფიან ორ სისტემად – **მონარქიად და რესპუბლიკად.**

მონარქიაში* ძალაუფლება სახელმწიფო მეთაურის – მონარქის ხელშია. როგორც წესი, ეს უმაღლესი ძალაუფლება მემკვიდრეობით გადადის. მონარქი (მეფე, შაჰი, იმპერატორი) სახელმწიფოს ერთპიროვნულად, დამოუკიდებლად მართავს. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ამ მმართველობის სისტემაშიც რიგი ცვლილებები მოხდა. აქედან გამომდინარე, თვითონ მონარქიის მმართველობაც ორად იყოფა: აბსოლუტურ და შეზღუდულ (კონსტიტუციური მონარქია) მონარქიად.

აბსოლუტურ მონარქიაში უმაღლესი ძალაუფლება მთლიანად ერთ პიროვნებას (მეფე, შაჰი, იმპერატორი) ეკუთვნის. არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო ორგანო რომელიც მონარქის უფლებამოსილებებს შეზღუდავს. ის თვითონ იღებს კანონებსა და გადაწყვეტილებებს. ამის მაგალითია საუდის არაბეთი და ყატარი.

*** მონარქია – ერთმმართველობას ნიშნავს.**

შეზღუდულ (კონსტიტუციურ) **მონარქიაში,** მონარქის ძალაუფლება კონსტიტუციით არის შეზღუდული. მონარქს არ აქვს უფლება შეცვალოს კონსტიტუცია. კონსტიტუციური მონარქიის ერთი სახეობა პარლამენტარული მონარქიაა. ასეთ მმართველობაში წამყვანი როლი აქვს პარლამენტს. აქ მონარქის როლი ფორმალურია. მთავრობა შედგება იმ პარტიის მიერ რომელიც პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენს და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. ამის მაგალითია – დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, ესპანეთი, შვედეთი და იაპონია.

რესპუბლიკაში ხელისუფლების ყველა უმაღლესი ორგანო არჩეულია გარკვეული დროით. ძირითადად რესპუბლიკას აქვს ორი ფორმა: საპარლამენტო და საპრეზიდენტო.

საპარლამენტო რესპუბლიკა	**სახელმწიფო მეთაური პრეზიდენტია. მაგრამ ქვეყნის მართვაში ძირითადი როლი აკისრია პრემიერ მინისტრს და პარლამენტს. პარლამენტს ირჩევს ხალხი. მთავრობა შედგება იმ პარტიით, რომელიც პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენს და ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. საპარლამენტო რესპუბლიკის მაგალითია – გერმანია და ავსტრია.**
საპრეზიდენტო რესპუბლიკა	**პრეზიდენტი სახელმწიფო მეთაური და უმაღლესი თანამდებობის პირია. სახელმწიფო მეთაური არჩეულია ხალხის მიერ. ქვეყნის მართვისთვის შექმნილი მინისტრთა კაბინეტი წარდგენილია პრეზიდენტის მიერ. მინისტრთა კაბინეტი პასუხისმგებელია და ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს ირჩევს ხალხი, უფლება არ აქვს დაითხოვოს პარლამენტი. რადგან, პარლამენტი არჩეულია ხალხის მიერ. მმართველობის ასეთი ფორმა ხორციელდება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და აშშ-ში.**



აზერბაიჯანის მილი მეჯლისის სესიის დარბაზი

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს შერეული ტიპის რესპუბლიკის მმართველობის ფორმა. რესპუბლიკის მმართველობის შერეული ფორმა აერთიანებს საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის ელემენტებს. ამ ქვეყნებს მიეკუთვნებიან – საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია და სხვა.

თქვენ იცით რა არის დემოკრატია. დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანების უფლებები დაცულია. ამ რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული მმართველობა ანტიდემოკრატიულია, ასეთ პირობებში ადამიანების უფლებები და თავისუფლებები ჩახშობილია და მმართველობა ხალხის ნებას არ ითვალისწინებს.

დემოკრატიული გარემოს შექმნა შეიძლება ყველგან, თუნდაც, თქვენს სკოლაში და კლასში. თქვენ ამას მიაღწევთ მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობის გათვალისწინებით, მეგობრების და თქვენი უფლებების დაცვით. ჩვენ უფლებასა და მოვალეობებს არეგულირებს და იცავს ჩვენი სახელმწიფო.

1. მოამზადეთ პრეზენტაცია ერთ-ერთი თანამედროვე სახელმწიფოს მმართველობის ფორმაზე და სახელმწიფო წყობაზე.
2. განასხვავეთ რესპუბლიკური და მონარქიული წყობა.
3. რესპუბლიკის შერეული მმართველობის ფორმები განიხილეთ და თქვენი აზრები დააფიქსირეთ.

?

7. საზოგადოება და ორგანიზაციები

ჯამილის მამა პროფესიული კავშირის თავჯდომარეა. ის, პარტია ახალი აზერბაიჯანის წევრია. დედა კი, არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობს. ორივე მათგანის საქმიანობა სახელმწიფოს სასარგებლოდ და საზოგადოების სასიკეთოდ არის მიმართული.

საზოგადოების მართვა ისტორიული წარსულიდან დღემდე გრძელდება. საზოგადოება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ იმართება. საინტერესოა, სხვა ფაქტორები საზოგადოების მართვაზე გავლენას ახდენენ? როგორი როლი აქვს საზოგადოების ცხოვრებაში ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლის სახელებიც ხშირად გვესმის.

საზოგადოება მარტო სახელმწიფო სტრუქტურების მიერ არ იმართება. საზოგადოების ცხოვრებაში არსებული ორგანიზაციები, პარტიები, დაწესებულებები და სხვა მის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ერთ-ერთი მათგანი კი, პარტიებია. **პარტიების*** შექმნა საზოგადოების ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. ადამიანები პოლიტიკურ მიზნებს პოლიტიკური **პარტიების*** მეშვეობით ახორციელებენ.

საზოგადოებაში მრავალპარტიულობა დემოკრატიული მმართველობის ნიშნებიდან ერთ-ერთია. პარტიების შექმნის საფუძველია ნებაყოფლობითობა და წევრების სამართლებრივი თანასწორობა. პირველი პოლიტიკური პარტიები შეიქმნა ჰოლანდიაში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში. შემდეგ კი, ასეთი პოლიტიკური პარტიების შექმნა სხვა ქვეყნებშიც დაიწყეს. პოლიტიკური პარტიები აზერბაიჯანში XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა. მაგალითისთვის შეიძლება ჩამოვთვალოთ – „მუსავათ“ (თანასწორობა), „დიფაი“ (თავდაცვა) და სხვა პარტიები.

ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სხვადასხვა პარტიები ფუნქციონირებს. მათ შორის „ახალი აზერბაიჯანს“ აქვს დიდი რეპუტაცია. ეს პარტია ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და მხარს უჭერს ხალხის კეთილდღეობას.

ერთ-ერთი ორგანიზაცია რომელიც არეგულირებს საზოგადოების ცხოვრებას, ეს არის ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები.

***პარტია - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ნაწილს, ჯგუფს.**

***პოლიტიკური პარტია – ორგანიზაცია, რომელიც თავისი კანდიდატების პოლიტიკურ თანამდებობებზე დანიშვნის გზით ცდილობენ გავლენა მოახდინონ სახელმწიფო პოლიტიკაზე.**

ჩვენ ქვეყანაში ოჯახი, ქალი და ბავშვის პრობლემების სახელმწიფო კომიტეტი ფუნქციონირებს. თავდაპირველად **გენდერული*** პრობლემებით დაკავებულმა ამ დაწესებულებამ საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ოჯახი და ბავშვის პრობლემების გადაჭრაც ამ დაწესებულების კომპეტენციის ფარგლებშია.

დიდი რეპუტაციის მქონე კომიტეტის ძირითადი მოვალეობებია:

– *თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანთა და მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, განსაკუთრებით ბავშვთა და ქალთა უფლებების განხორციელების უზრუნველყოფა და მათი დარღვევის პრევენცია;*

– *შესაბამის სფეროში ნორმატიული რეგულაციების განხორციელება, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებაა და სხვა.*

ჩვენ რესპუბლიკაში ბავშვის და ახალგაზრდების უფლებების დამცველი და მათი განვითარების საშუალების ხელშეწყობის საკითხებზე მომუშავე გარკვეული ორგანიზაციები ფუნქციონირებენ. ახალგაზრდული ორგანიზაციები, ახალგაზრდების ერთობაა, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენს. ეს ორგანიზაციები ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენენ.

ეროვნულმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა ახალგაზრდების მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა და ახალგაზრდებს ორგანიზაციების შექმნისა და განვითარების პირობები შეუქმნა. ამ მზრუნველობის შედეგად 1996 წლის 2 თებერვალს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პირველი ახალგაზრდული ფორუმი ჩატარდა. ამიტომ ყოველ წელს 2 თებერვალი ქვეყანაში აღნიშნება, როგორც ახალგაზრდობის დღე.

საზოგადოების ცხოვრებაში არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) როლი მნიშვნელოვანია. ეს ორგანიზაციები ნებაყოფლობით იქმნება. სხვადასხვა საკითხების გადაჭრით დაკავებული ეს ორგანიზაციები საზოგადოების მოთხოვნებს მთავრობას აწვდიან. არსებობს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის საკითხებზე შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები. სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ეს ორგანიზაციები ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

გარდა იმისა, რომ არსებობს ქვეყნის მასშტაბით მომუშავე ორგანიზაციები, ასევე არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციებიც. საერთო მიზნებისთვის შექმნილი ეს ორგანიზაციები სახელმწიფოთაშორის და არასამთავრობო ხასიათის საერთაშორისო ერთობაა. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ყველაზე გავლენიანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა. ამ ორგანიზაციის საქმიანობა, საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების დაცვის, შენარჩუნების უზრუნველყოფაა. კიდევ ერთი გავლენიანი ორგანიზაცია საერთაშორისო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებრივი ფედერაციაა.

გენდერული* – ქალისა და კაცის თანაბარუფლებიანობა.

ამ ფედერაციის განუყოფელი წევრი აზერბაიჯანის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოება ჩვენ რესპუბლიკაში მოქმედი ყველაზე დიდი ჰუმანიტარული ორგანიზაციაა.

ეს ორგანიზაცია ომების და სტიქიური უბედურებების დროს ადამიანებზე ზრუნვას ნებაყოფლობით ახორციელებს. ბრძოლის ველზე დაჭრილებს აღმოუჩენს სამედიცინო დახმარებას, აქტიურად მონაწილეობს ტყვეებისა და მძევლების ბედის გადაწყვეტაში, ასევე, ეს ორგანიზაცია მოქმედებს იმ რეგიონებში სადაც მიმდინარეობს ომი და ხდება სტიქიური უბედურებები.

მოაგროვეთ ინფორმაცია აზერბაიჯანის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების საქმიანობაზე და მოამზადეთ პრეზენტაცია.

პროფესიული კავშირი ის ორგანიზაციაა, რომელიც იცავს ყველა პირს, ვისაც გაფორმებული აქვს შრომის ხელშეკრულება. პროფესიული კავშირები ერთ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული პირველადი ორგანიზაციების გაერთიანებაა და სხვა გაერთიანებების სახითაც ფუნქციონირებენ. ეს კავშირი თავისი წევრების უფლებებს იცავს და სოციალური პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობს. ჩვენს რესპუბლიკაში სხვადასხვა სფეროების პროფესიული ორგანიზაციების გაერთიანებით შეიქმნა პროფესიული კავშირების კონფედერაცია.

?

1. ახსენით პარტიის როლი საზოგადოებრივი ცხოვრებაში.
2. საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნქციებზე გაკეთეთ კომენტარი და მოამზადეთ პრეზენტაცია.
3. პროფესიული კავშირი განასხვავეთ არასამთავრობო ორგანიზაციისაგან და ჩაწერეთ თქვენი აზრები.
4. რა გავლენა შეიძლება იქონიოს ქალთა კომიტეტმა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე? აზრები ჩაწერეთ.
5. ჩვენს ქვეყანაში როგორ აისახება ბავშვებისა და ახალგაზრდებზე ზრუნვა? აზრები ჩაწერეთ.

8. საზოგადოება და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა

ფარიდს ყოველ დღე დილით, სკოლაში წასვლისას, ქვეითთა გადასასვლელზე უწევს გადასვლა. მან ერთ დღეს, ქვეითთა-გადასასვლელთან შუქნიშანზე წითელი შუქის ანთებისას დააპირა გადასვლა, რა დროსაც დაინახა მისკენ სწრაფად მომავალი მანქანა. კიდევ კარგი, რომ მან უცებ უკან გადახტომა შეძლო. სწრაფად მომავალი მანქანა შეეჯახა სხვა მანქანას და ავარია მოახდინა. შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოჩნდნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარება და პოლიცია. ავარიამ მსხვერპლის გარეშე ჩაიარა. შემთხვევის სამართლებრივი გზით რეგულირებისათვის პოლიციამ ოქმი შეადგინა.

ალბათ, თქვენც შეხვედრიხართ ასეთ შემთხვევებს. დაინახავდით ადამიანთა უფლებებისა და ქვეყნის სტაბილურობის დამცავი, ასევე იმ დაწესებულებების რეაგირებას, რომლებიც დგანან კანონის სადარაჯოზე. ამგვარი ფაქტები, რომელიც ცნობილია თქვენთვის, აღნიშნეთ რვეულში.



ყველა ჩვენთაგანი საზოგადოების ერთი ნაწილი ვართ. საზოგადოების ფორმირების პერიოდიდან გარკვეული წესები და კანონები არსებობდა. ჯერ კიდევ პირველყოფილი საზოგადოებრივი წყობის პერიოდში ტომების და გვარეულობების მეთაურებს ირჩევდნენ, იქმნებოდა უხუცესთა საბჭოები. დროთა განმავლობაში შეიქმნა სახელმწიფოები. სახელმწიფოს შექმნასთან ერთად გარკვეული წესები და კანონები ძალაში შედიოდა.

ამჟამად, ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიო სახელმწიფოებში საზოგადოების ცხოვრების დასაცავად გარკვეული სამართლებრივი დოკუმენტებია შედგენილი. მსოფლიო ქვეყნები შეიკრიბნენ და შეადგინეს სამართლებრივი დოკუმენტები, რითაც რეგულირდება წესები და კანონები საერთაშორისო სამყაროში.

გაიხსენეთ: რომელმა მეფემ შედგინა პირველი კანონები?

კანონი უზენაესია და საზოგადოების ცხოვრების სამართლებრივ მხარეს აწესრიგებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ქვეყანაში ამის სამართლებრივი დასტური კონსტიტუციის II თავის მე-7 მუხლში მითითებულია:

I. აზერბაიჯანის სახელმწიფო დემოკრატიული, სამართლებრივი, საერო და უნიტარული რესპუბლიკაა.

II. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სახელმწიფოს ხელისუფლება შიდა საკითხებზე მხოლოდ კანონით, საგარეო საკითხებზე კი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ აღიარებული საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დებულებებით შემოიფარგლება.

III. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება, ხელისუფლების დანაწილების პრინციპს ეფუძნება.

IV. ამ კონსტიტუციის დებულებების თანახმად, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები ურთიერთქმედებით ფუნქციონირებენ და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში არიან დამოუკიდებელნი.

აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის მიერ 1998 წლის თებერვალში ხელმოწერილი „ადამიანთა და მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების უზრუნველყოფის შესახებ“ განკარგულება კიდევ ერთი გარანტიაა იმისა, რომ საზოგადოების ცხოვრება დაცულია სამართლებრივი წესით.

სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც საზოგადოების ცხოვრებას არეგულირებს:

- **აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგადასახადო კოდექსი;**
- **აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი;**
- **აზერბაიჯანის რესპუბლიკის შრომის კოდექსი;**
- **სოციალური მომსახურეობის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი;**
- **მოქალაქეთა საჩივრების განხილვის წესის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი;**
- **ბავშვთა უფლებების შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი;**

და სხვები.

გაეროს სხდომათა დარბაზი

მსოფლიოში სტაბილურობის შესაქმნელად საერთაშორისო ორგანიზაციები იღებენ დეკლარაციებსა და კონვენციებს. საზოგადოების სამართლებრივი უზრუნველყოფისთვის ესენი მნიშვნელოვანი ნაბიჯებია. გაეროს მიერ მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ ამის დამამტკიცებელი დოკუმენტია. აქ მოცემულია:

- **აზრის თავისუფლება და მათი გამოხატვა, ფიქრის, რელიგიის და სინდისის თავისუფლება;**
- **საერთო და თანაბარი ხმის მიცემის უფლება;**
- **პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა;**
- **მოქალაქეთა უფლებების, ინტერესების და პირადი უსაფრთხოების სამართლებრივი გარანტიის ამსახველი კანონის უზენაესობა და სხვა.**

როგორც ხედავთ, საზოგადოების ცხოვრება სამართლებრივი დოკუმენტებით არის დაცული. ხოლო საზოგადოებაში ადამიანებმა საკუთარი თავისუფლებების გამოყენების დროს სხვისი უფლებები არ უნდა დაარღვიონ.

1. განსაზღვრეთ სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ნიშნები. აღნიშნეთ ფაქტები აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამართლებრივი სახელმწიფოებრიობის შესახებ.

2. საზოგადოების ცხოვრების დასაცავად სამართლებრივი დოკუმენტები საჭიროაა? დაასაბუთეთ თქვენი აზრები.

3. გაეროს მიერ მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე“ გააკეთეთ კომენტარი.

?

9. სამართლის დარგები

ემილის მამას მიწის ნაკვეთი ჰქონდა ნაყიდი. მას უნდოდა, რომ აღნიშნული ნაკვეთი მებაღეობისთვის გამოეყენებინა. ერთხელ ამ ტერიტორიაზე ბავშვებთან თამაშის დროს ემილმა დაინახა, რომ სხვა პიროვნება აქ რაღაცას აშენებდა. მაშინვე მამას აცნობა ამის შესახებ. ემილის მამას საკითხის გარკვევა უნდოდა. მაგრამ დაინახა ამ პიროვნების მიერ, მის ნაკვეთზე ბინის მშენებლობის პროცესი ვერაფრით შეაჩერა. მან გადაწყვიტა, რომ ეს საკითხი მოაგვაროს სამართლებრივი გზით.

თქვენი აზრით ემილის მამამ რომელ ორგანიზაციას უნდა მიმართოს ამ საქმის მოსაგვარებლად? განიხილეთ და აზრები რვეულში ჩაწერეთ.

ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი და გარკვეული უფლებების მქონე პიროვნებები ვართ. ზოგჯერ კი, უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციებს ვიღებთ. ამ საკითხების რეგულაციისათვის ერთი მისამართი უნდა არსებობდეს სადაც მივმართავთ. არსებობს გარკვეული წესები და აღნიშნული წესების რეგულაციის დოკუმენტები, რომელიც ჩვენ ცხოვრებას აწესრიგებენ. აღნიშნული დოკუმენტების აღსრულება როგორ ხორციელდება? ამ დროს, ჩვენ, რა შეიძლება დაგვეხმაროს?

საზოგადოების ცხოვრების რეგულირებისთვის სამართლის სხვადასხვა დარგები ფუნქციონირებენ. სამართალი – საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი და სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესებია. მოქმედი კანონები იცავს ყველას უფლებებს და მათ წინაში ყველა თანასწორია. ჩვენი სახელმწიფო, რომელმაც შექმნა დემოკრატიული წყობა და სამართლის სისტემა, ასევე ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობას ყველაფერზე მაღლა აყენებს. სამართლის სისტემა აერთიანებს სამ ძირითად ელემენტს:

სამართლის დარგი	სამართლის ინსტიტუტი	სამართლის ნორმა

სამართლის დარგი – კონკრეტულ დარგში საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს აერთიანებს. სამართლის დარგებია:

- **საკონსტიტუციო სამართალი;**
- **სამოქალაქო სამართალი;**
- **შრომის სამართალი;**
- **საოჯახო სამართალი;**
- **საგადასახადო სამართალი და სხვა.**

საკონსტიტუციო სამართალი – აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციას ეფუძნება. ჩვენი კონსტიტუციის პირველი თავის პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ხელისუფლების ერთადერთი წყარო აზერბაიჯანელი ხალხია.

სამოქალაქო სამართალი – სამართლის დარგი, რომელიც ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობის, მათი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების განხორციელების წესს განსაზღვრავს და არეგულირებს.

შრომის სამართალი – მას დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შრომით ურთიერთობების რეგულაციაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. შრომის კოდექსის თანახმად თხუთმეტ წელს მიღწეულ ნებისმიერ პიროვნებას, ერთ-ერთი მშობლის წერილობით თანხმობის საფუძველზე შეუძლია გააფორმოს შრომით ხელშეკრულება.

საოჯახო სამართალი – საოჯახო ურთიერთობებს, ანუ ქორწინების ფაქტიდან გამომდინარე და ოჯახის წევრის ურთიერთობებს არეგულირებს.

საგადასახადო სამართალი – გადასახადის გადამხდელთა უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს. მიზნად ისახავს, სახელმწიფოს ძირითადი შემოსავლის წყაროს, გადასახადის რეგულაციას.

არსებობს ნორმატიული სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც ყველა დარგის რეგულაციას მოიცავს, ესენია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებები, სხვადასხვა გადაწყვეტილებები და კანონები. სამართლის სისტემის ელემენტი – **სამართლის ინსტიტუტი** ერთი და იგივე სახის ურთიერთობების მარეგულირებელ სამართლის ნორმებს აერთიანებს.

სამართლის ინსტიტუტი სამართლის დარგის ერთი ნაწილია. თითოეული სამართლის დარგი აერთიანებს რამდენიმე სამართლის ინსტიტუტს.

სამართლის ნორმა – სახელმწიფოს მიერ აღიარებული წესებია, რომელიც განსაზღვრავს უფლებებს და მოვალეობებს, რომლის შესრულება სავალდებულოა.

საზოგადოებაში ყველამ უნდა იცოდეს თავისი უფლებების გამოყენებისათვის გარკვეული ნორმებისა და წესების არსებობის შესახებ. მათი განხორციელებაში და რეგულაციაში კი სამართლის დარგებს და სამართლის ინსტიტუტებს აქვთ მნიშვნელოვანი როლი.

?

1. **რით განსხვავდება საკონსტიტუციო სამართალი სხვა სამართლის დარგებისაგან? აზრები დაასაბუთეთ.**
2. **გადასახადების შესახებ მოამზადეთ პატარა პრეზენტაცია.**
3. **სამართლის სისტემის ელემენტები განასხვავეთ სამართლის დარგებისაგან.**
4. **დაწერეთ ესსე საგადასახადო სისტემის შესახებ.**
5. **სხვადასხვა ნორმატიული დოკუმენტების შესახებ მოაგროვეთ ინ-ფორმაცია და წარმოადგინეთ.**
6. **გააკეთეთ კომენტარი ნორმატიული სამართლებრივი დოკუმენტების მნიშვნელობის შესახებ.**

10. განათლების უფლება კონსტიტუციაში

ნიჰადმა ინგლისური ენა ძალიან გარგად იცის. მისი ოცნებაა ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლა. მისი ოჯახის ფი-ნანსური მდგომარეობა საშუალებას არ აძლევს, რომ აშშ-ში წავიდეს.

ერთ დღეს მისმა დამ ულქარმა ინტერნეტში ასეთი ინფორმაცია წაიკითხა – „საზღვარგარეთ განათლების მიღების მსურველი ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო ხარჯებს სრულად აანაზღაურებს“.

ულქარმა წაკითხული ინფორმაციის შესახებ ნიჰადს მოუყვა. ამით კი, ნიჰადის ოცნების რეალობად გადაქცევის საშუალება მიეცა.

დაბადების მომენტიდან ყველას აქვს ხელშეუხებლობის უფლებები. თქვენ ამ უფლებებიდან, რომელი იცით? როგორც სკოლის მოსწავლეს, თქვენ რა უფლებები გაქვთ?

რა შესაძლებლობები შექმნა სახელმწიფომ თქვენთვის? მოდით, განვსაზღვროთ, როგორია თქვენი განათლების მიღების უფლება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 42-ე მუხლში მოცემულია:

I. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს განათლება.

II. სახელმწიფო უზრუნველყოფს სავალდებულო საშუალო განათლების მიღებას.

III. განათლების სისტემაზე ზედამხედველობას ახორციელებს სახელმწიფო.

ქვეყანაში ყველას აქვს უფლება მიიღოს განათლება. განათლება მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანების მიერ მაღალ კულტურული დონის ჩამოყალიბების საქმეში. განათლების მიზანი ადამიანების მიერ მხოლოდ გარკვეული ცოდნის მიღება კი არის, არამედ ღირსეული მოქალაქე და პატრიოტი ადამიანის ჩამოყალიბებაა.

ზოგადი საშუალო განათლება უფასოა. მიუხედავად მათი ეროვნების და რელიგიური კუთვნილებისა, ენისა, სქესისა, ჯანმრთელობისა და პოლიტიკური შეხედულებისა ყველა მოქალაქეს აქვს განათლების უფლება. ზოგადი განათლების საფეხური თავის მხრივ იყოფა დაწყებით, საბაზო და საშუალო განათლების დონედ.

დაწყებითი განათლების მიზანია, რომ ბავშვები დაეუფლონ წერას, კითხვას და გამოთვლას. ამასთანავე, მოსწავლეებში ამ საფეხურზე უნდა ჩამოყალიბდეს ადამიანის, საზოგადოების და ბუნების შესახებ დაწყებითი საარსებო ცოდნა, ლოგიკური აზროვნების ელემენტები, მხატვრული გემოვნება და სხვა.

!

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს განათლება. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის “ 26-ე მუხლში წერია, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება მიიღოს განათლება. ამავდროულად „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლში მითითებულია, რომ ნებისმიერ ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება. ბავშვებისთვის სავალდებულო ზოგადი საშუალო განათლების მიღებისთვის ხელისშეშლა აკრძალულია.

ზოგადი საშუალო განათლების მიზანი მოსწავლეებში ურთიერთობის უნარის, შემეცნებითი აქტივობა და ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბებაა. ასევე, უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამომავლო საქმიანობის მიმართულების განსაზღვრის უნარს.

თქვენ დაწყებითი განათლების დონის დამთავრებისას რომელ ცოდნასა და უნარებს დაეუფლეთ? შეადგინეთ და შეავსეთ ცხრილი.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება მიიღოს განათლება. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის “ 26-ე მუხლში წერია, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება მიიღოს განათლება. ამავდროულად „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლში მითითებულია, რომ ნებისმიერ ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება. ბავშვებისთვის სავალდებულო ზოგადი საშუალო განათლების მიღებისთვის ხელისშეშლა აკრძალულია.

?

1. ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება მიიღოს განათლება. დაასაბუთეთ განათლების მიღების უფლება.
2. როგორ არის ასახული განათლების უფლება აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში? განიხილეთ და გამოთქვით აზრები.
3. განათლების უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ წაიკითხეთ და განიხილეთ.
4. თემასთან დაკავშირებით დაწერეთ ესსე.

მორალური ცხოვრება

1. მორალური ვალი
2. რელიგია და კულტურა
3. სწორი და მცდარი მსჯელობა
4. ჩვენი ქცევების მორალური "სტიმული"
5. ბოროტი ენის უბედურებები: ჭორი და ცილისწამება

1. მორალური ვალი

წაიკითხეთ ტექსტი და გაანალიზეთ.

აიხანი რამოდენიმე დღე მეგობრის ანარის დაბადების დღეზე წასასვლელად ემზადებოდა. ეს სტუმრობა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამ მეჯლისზე შეხვდებოდა მეგობრებს, რომლებიც დიდი ხანია არ უნახავს. ის ხშირად დახედავდა ხოლმე თავის ახალ ფეხსაცმელს და პერანგს, მოუთმენლად ელოდებოდა დაბადების დღეს. ბოლოს, ის დღეც მოვიდა. მან ჩაიცვა, სარკეში საკუთარი თავი შეათვალიერა და სახლიდან გავიდა. არ დაავიწყდა, რომ ფული, რომელიც დაზოგილი და შენახული ჰქონდა, თან წაედო. იფიქრა, რომ დასჭირდებოდა.

თუმცა, მოვლენები სულაც არ განვითარდა ისე, როგორც მას წარმოედგინა. მდინარეზე გადებულ ხიდს, რომ მიუახლოვდა მან გაიგო ქალის კივილი. დედა ვერაფრით შველოდა მდინარეში ჩავარდნილ თავის პატარა გოგონას, რომელიც იხრჩობოდა.

აიხანი დაუფიქრებლად გადახტა მდინარეში და გოგონა წყლიდან ამოიყვანა. აღელვებულმა დედამ სიტყვები ვერ მოძებნა და აღარ იცოდა როგორ გამოეხატა მადლიერება აიხანის მიმართ. აიხანი უკან დაბრუნდა და სწრაფი ნაბიჯებით გაეშურა სახლისაკენ. მან უნდა გამოიცვალოს სველი ტანსაცმელი და დაბადების დღეზე მისვლა მოასწროს. როცა ხელი ჯიბეში ჩაიყო, შეამჩნია, რომ ფული აღარ ჰქონდა, ალბათ, მდინარეში ჩაუვარდა. აიხანი მოვიდა სახლში და გამოიცვალა ტანსაცმელი. ამჯერად ის სახლიდან ძველი ტანსაცმლით გავიდა. მიუხედავად ამისა, აიხანი უფრო ბედნიერად გამოიყურებოდა, ვიდრე ამ შემთხვევამდე.

როგორ შეაფასებთ აიხანის საქციელს? რა იყო მიზეზი იმისა, რომ იგი თავს ბედნიერად გრძნობდა? რამ აიძულა აიხანი, რომ მდინარეში გადავარდნილი გოგონა გადაარჩინა დახრჩობისაგან? გამოხატეთ თქვენი მოსაზრებები.

მორალური ვალი და **სინდისი** ადამიანის შინაგანი განცდაა. ადამიანს აქვს მორალური ვალი საზოგადოების, კოლექტივის და საკუთარი თავის წინაშე. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს ჰქონდეს მორალური ღირებულებები. ამ მხრივ, ზნეობის როლი შეუცვლელია. ზნეობა ადამიანებს შორის ურთიერთობებს არეგულირებს. მორალური ვალი არ ემორჩილება გარკვეულ პირობებს, იგი ყოველთვის უნდა აღასრულო. იგი არა მხოლოდ ახლობლების მიმართ, ყველა ადამიანთან ურთიერთობისას უმთავარესი უნდა იყოს. მორალური ვალი არ არის დამოკიდებული ადგილზე, პირობებზე, დროზე, ეროვნებაზე, პიროვნებაზე, არამედ, ის არის უნივერსალური ბუნების მატარებელი.

მორალური ვალისა და სინდისის ცნებების მიმართ მიდგომა სხვადასხვაა. იმიტომ, რომ საზოგადოებაში ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ადამიანს სიამოვნებს საკუთარი ვალის მოხდა სინდისის კარნახით.

საერთოდ, მოვალეობის განცდა ზოგადად მიღებულ მორალურ ღირებულებებთან შესაბამისობაში უნდა იყოს. ის, მუდამ სიკეთის ქმნისკენ უნდა იყოს მიმართული. ვალდებულების ნებაყოფლობითი შესრულება პიროვნების მაღალი მორალური ცნობიერების მაჩვენებელია.

ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევმა თავისი მორალური თვისებებით ისტორიას დაამჩნია კვალი. მას სრულიადაც არ ევალებოდა სიკეთის ქმნა, მაგრამ იგი დაეხმარა ასობით ახალგაზრდას განათლების მიღებაში, ხელი შეუწყო ღარიბებსა და უსახლკაროებს. ასევე, მან 1901 წელს, აზერბაიჯანელი ქალების განათლების მიღების საქმეში დიდი როლი ითამაშა – მუსულმანურ აღმოსავლეთში პირველი საერო სკოლა გახსნა ქალებისათვის.

როგორ გესმით პატრიოტიზმი? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები მაგალითებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ადამიანი მხოლოდ საზოგადოების წინაშე არ არის ვალდებული, ასევე მას გააჩნია თავისი თავის და ახლობლების წინაშე გარკვეული ვალდებულებები. მაგალითად, „ოჯახის მიმართ ვალი“, „მეგობრული ვალი“ და სხვა.

საზოგადოებაში ხშირად გვესმის სიტყვები: მატერიალური და მორალური.

I. ელშანს ბანკის ვალი აქვს.

II. ელშანი ვალდებულია დედას დაეხმაროს.

მორალური ვალის ცნება მეგობრებთან განიხილეთ.

ადამიანების მორალურ ვალს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი მოვალეობები (მაგალითად ვალი სამშობლოს, ხალხის, კოლექტივის, ოჯახის და მშობლის წინაში და სხვა) ასევე, პროფესიული საქმიანობასთან (მასწავლებლის ვალი, ექიმობის ვალი და სხვა) დაკავშირებით.

ჩვენი მორალური ვალდებულებებიდან ერთ-ერთია ისტორიული ძეგლების, ციხე-სიმაგრეების და სხვა ეროვნული სიმდიდრეების შენარჩუნება და დაცვა.

მარადაქანის ციხესიმაგრე

ციხესიმაგრე სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული დაცული-ძეგლი

სომხეთის სამხედრო ძალების მიერ ჩვენი მიწების ოკუპაციის შედეგად – უამრავი ისტორიულ-კულტურული ძეგლი და ასობით მუზეუმი განადგურდა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. სომხეთის მხრიდან ჩვენი ისტორიული ძეგლებისადმი ვანდალური დამოკიდებულება ეწინააღმდეგება „შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში კულტურული ღირებულებების დაცვის შესახებ“ 1954 წლის ჰაგის კონვენციას, „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ იუნესკოს 1972 წლის კონვენციას, „არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ” ევროპის 1992 წლის კონვენციას.

ჩვენი მორალური ვალია, რომ არ დავივიწყოთ წარსული – 20 იანვრის და ხოჯალის ტრაგედია. ასევე, ჩვენი მორალური ვალია, რომ არ დავივიწყოთ შაჰიდები, რომლებმაც თავი გაწირეს ყარაბაღის ბრძოლებში და მათი გმირობის ამბები მომავალ თაობებს შევუნახოთ.

მორალური ვალდებულებებიდან ერთერთი რელიგიასთან არის დაკავშირებული. სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი ადამიანები თავისი რელიგიური მრწამსის შესაბამისად რელიგიურ ცერემონიებს და რიტუალებს მართავენ.

ყველა რელიგია უქადაგებს ადამიანებს, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, არ ვავნოთ ერთმანეთს, შორს დავიჭიროთ თავი მავნე ჩვევებისაგან.

?

1. რომლებია ოჯახის წინაშე მორალური ვალდებულებები? განსაზღვრეთ და განიხილეთ

2. შეაფასეთ სამშობლოს წინაშე ვალის წმინდა გრძნობა აზრები აღნიშნეთ.

3. გვაქვს ბუნების წინაშე მორალური ვალი? აღნიშნე თქვენი დამოკიდებულება.

4. დაწერეთ ესსე სახელწოდებით „ჩემი მორალური ვალი“

2. რელიგია და კულტურა

ბაქოში სტუმრად მყოფი დანიელი დროის დიდ ნაწილს ქალაქის ღირშესანიშნაობების დათვალიერებაზე ხარჯავდა. ის ქალაქის ქუჩებში სეირნობისას ყურადღებით ათვალიერებდა ნაგებობებს და ცდილობდა მათი სტილის განსაზღვრას. მას სურდა, რომ არქიტექტორი გამოსულიყო. „იჩერიშეჰერ“ში (ძველი ქალაქი) არსებული „შირვანშაჰლარ“ის სასახლეს, „გოშაგლა გაფილარს“ (წყვილი კარიბჭე), აზერბაიჯანის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობას, ხელნაწერთა ინსტიტუტის შენობას, ისტორიის მუზეუმს, „სადეთ“ის სასახლეს და სხვა შენობებს იგი იდუმალ და საოცარ სამყაროში გადაჰყავდა. იგი სხვადასხვა კულტურული სტილით აშენებული ამ ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლების დათვალიერებისას ფიქრობდა – ეს შენობები ასე რატომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?

დანიელის აზრებისადმი დამოკიდებულება გამოხატეთ. ეცადეთ, რომ ახსნათ, თუ რატომ განსხვავდებიან ნაგებობები ერთმანეთისაგან.



თქვენ გასული წლების რელიგიებისა და მათ კულტურებში ასახული ცერემონიების შესახებ ინფორმაცია გაქვთ. იცით, რომ რელიგიებს აერთიანებენ როგორც სხვადასხვა მახასიათებლები, ასევე საერთო მახასიათებლებიც. რელიგიური ღირებულებები ჩვენს ზნეობაში თავის კვალს ტოვებს. ყველა რელიგიის საერთო მახასიათებელი, მოუწოდებს ადამიანებს, რომ იყვნენ ზრდილობიანები და პატიოსანები. ეს მახასიათებლები კულტურებისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ.

მონოთეისტური რელიგიებიდან რომელს იცნობთ? გაიხსენეთ რაც იცით.

რელიგიამ კულტურებზე მოხდინა გავლენა, დაწყებული არქიტექტურული სტილიდან და დამთავრებული მხატვრულ-ლიტერატურული ნიმუშებით.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, არსებობენ წიგნები, სხვადასხვა ნაწარმოებები, ფილმები, ინტერნეტ მასალები, რომლებიც ადამიანებს მოუწოდებენ ზრდილობისკენ. ზოგიერთი მათგანი ეფუძნება რელიგიურ ღირებულებებს.

აზერბაიჯანში არქიტექტურის ერთ-ერთი მარგალიტი **მომინა ხათუნის საფლავია** (მავზოლეუმი). არქიტექტორი ეჯემი ნახჩივანის მიერ აშენებულ ამ არქიტექტურული მონუმენტის ფასადზე წმინდა ყურანიდან აიები წერია.

მომინა ხათუნის საფლავი მავზოლეუმი

უძველესი ისლამური ქვეყნების გარდა, ევროპის ქვეყნებშიც არსებობს ისლამური კულტურის მაგალითები. მაგალითად, ესპანეთის ქალაქ გრანადაში მდებარე **ელჰამბრას სასახლე** ისლამური კულტურის ყველაზე პოპულარული ნაგებობებიდან ერთ-ერთია.

ელჰამბრას სასახლე

აზერბაიჯანში ისლამური კულტურის ამსახველი სხვა რომელი ძეგლები იცით? თქვენთვის ცნობილი ძეგლებზე მოყევით.

შუა საუკუნეებში ევროპაში მხატვრობის განვითარებისას ნაწარმოებებში ქრისტიანული რელიგიის ელემენტები აისახა. შუა საუკუნეების გენიოსი მხატვრები იესო ქრისტეს ჯვარცმის, „მადონების“ და სხვების აღწერისას რელიგიური თემატიკას ითვალისწინებდნენ.

ჯოვანნი ბელლინი. ბერძენი მადონნა

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობენ ისლამის, ქრისტიანობის და სხვა რელიგიების მახასიათებლების ამსახველი კულტურული ნიმუშები.

ცნობილი რუსი კულტუროლოგი ნ.ა.ბერდიაევი წერს, რომ თუ კულტურის ფესვები რელიგიურ მრწამსიდან, რიტუალიდან მოდის, ცივილიზაციაში კაცობრიობის ამქვეყნიური ძალა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ნათქვამი აზრის მიმართ გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება

ინდოეთში ჩატარებული **„მენდი“-ს** ცერემონია ინდური კულტურის შემადგენელი ნაწილია. ალბათ ნანახი გაქვთ ინდური ფილმები. შეამჩნევდით მათ თავისებურ ტრადიციებს. მუსიკით და ცეკვებით უხვად გამდიდრებულ ფილმებს რელიგიური ფესვები გააჩნიათ.

„მენდი“ს ცერემონიის დროს მორთული ხელები

მხოლოდ ინდოეთში არა, სხვა ქვეყნებშიც თუ დაინტერესდებით დაინახავთ, რომ მათი ტრადიციები და კულტურები ფაქტობრივად, რელიგიის გავლენით არის განვითარებული რომელსაც თაყვანს სცემენ.

ყველა რელიგია ადამიანებს მოუწოდებენ ზრდილობისა და წესიერებისაკენ. წმინდა ყურანში ზნეობრივ ღირებულებებს დიდი ადგილი აქვთ დათმობილი. აქ ადამიანებს უნერგავენ მაღალ ზნეობასა და წესიერებას. წმინდა წიგნში წერია, რომ ყველა კარგი საქციელის პატრონს სასიამოვნო ცხოვრება ელოდება და ჩადენილი კარგი საქციელის გამო ჯილდოს მიიღებენ.

1. ახსენით აზერბაიჯანის კულტურაზე ისლამური რელიგიის გავლენა.

2. რელიგიური და ზნეობრივი ფასეულობების გავლენის შესახებ დაწერეთ ესსე.

3. სურვილისამებრ, ნებისმიერ ქვეყანის კულტურაზე რელიგიური ფასეულობების გავლენის შესახებ ინფორმაცია მოაგროვეთ.

?

3. სწორი და არასწორი მსჯელობა

ყველა ადამიანის საქციელი არის დამოკიდებული მის მსჯელობაზე.

ერთი და იგივე მოვლენის შესახებ ორ ადამიანს შეუძლია განსხვავებულად იფიქროს. ჩვენი გული სარკეს ჰგავს. თუ ის სუფთაა, თავისთავად, ირგვლივ ყველაფერს ასახავს სუფთად და ნათლად, ჩვენც ლამაზად ვფიქრობთ. ხოლო, თუ ჩვენი გულის სარკე ლაქიანია, მაშინ ჩვენც ყველაფერს მრუდედ დავინახავთ და სასიკეთო ფიქრებიც არ აღგვეძვრება.

ყველამ უნდა იზრუნოს თავის გულის სისუფთავეზე, რომ ლამაზად იფიქროს.



ზემოთაღნიშნულ აზრები განიხილეთ მეგობრებთან.

ვინც ლამაზად ფიქრობს ლამაზად ხედავს	**ვინც ლამაზად ხედავს ის სიამოვნებას იღებს ამ ცხოვრებისგან.**

ხედავთ, სიყვარულის და პატივისცემის გრძნობა ყველას აქვს, მაგრამ ყველა ამ გრძნობებს სწორად ვერ მართავს. ამის გამო ჩვენ, პირველ რიგში, ჩვენი ფიქრებიდან უნდა დავიწყოთ, ყოველთვის დადებით ფაქტორებზე უნდა ვიფიქროთ.

ადამიანებს ერთიდაიმავე მოვლენის შესახებ შეუძლიათ იფიქრონ როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად. მორალური წყაროები ურჩევენ ადამიანებს, რომ ყოველთვის იფიქრონ დადებითად.

დილით სკოლაში რომ მივედით, დავინახეთ, რომ კლასის ფანჯარაა გატეხილი. ერთ-ერთმა თანაკლასელმა თქვა, რომ გუშინ კლასიდან აქიფი გამოვიდა ბოლოს და შესაძლებელია შუშა მან გატეხაო.

აქიფი ამბობს, რომ შუშის გატეხვის შესახებ არაფერი იცის. მეგობრების ერთ ნაწილს სჯერათ აქიფის, ხოლო მეორე ნაწილს ეჭვი უხრავს გულს. ეჭვი თანდათან გაძლიერდა და მთელი კლასი მოიცვა. ერთნი ეჭვობენ, რომ აქიფს ეშინია და იმიტომ არ აღიარებს, მეორეს დამლაგებელ ქალზე მიაქვს ეჭვი, ზოგი ყარაულზე ეჭვობენ, სზოგი კი, გუშინ პარალელური კლასის მოსწავლეები ეზოში ფეხბურთს რომ თამაშობდნენ, იმათზე ეჭვობენ. ამდენად, ჩვეულებრივი ამბის შესახებ, ერთმა გაუფრთხილებელმა სიტყვამ უამრავ ადამიანს ატკინა გული.

„მე მჯერა, რომ ეს მისი ჩადენილია“ – მსგავსი დასკვნითი გამოხატულება ადამიანს არა პატივისცემას, არამედ დამცირებასა და სინანულს მოუტანს.

მოვლენაზე, რომელიც არ იცით, საკუთარი თვალებით არ გინახავთ, დასკვნას ნუ გააკეთებთ. არაფერს შეხედოთ ეჭვის თვალით.

!

ადამიანი თავის თავში უარყოფით თვისებებს მუდამ უნდა ებრძოდეს. თუ ადამიანი საკუთარ მცდარ საქციელს ვერ დაინახავს და უარყოფითი მხარეებს არ გააანალიზებს, იგი თავის პიროვნებას ვერ აღზრდის, მომავალ განვითარებას ვერ უზრუნველყოფს

?

1. „ვინც ლამაზად ფიქრობს, ლამაზად ხედავს“. ეს აზრი აირჩიეთ ეპიგრაფად და დაწერეთ ესსე.
1. „სწორი ფიქრის“ ცნება წერილობითი სახით ასხენით.
2. ადამიანს როგორ ატკენს გულს დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვა, წაკითხული და მოსმენილი მაგალითები მოიყვანეთ ცხოვრებიდან, რვეულში დაწერეთ.
3. მოცემულ სურათთან დაკავშირებით თქვენი აზრები გვაცნობეთ.

4. ჩვენი ქცევების მორალური "სტიმული"

ადამიანის ზოგიერთ გრძნობებში და ემოციებში იდეები და აზრები მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ. ადამიანის ქცევებზე სხვა რომელი ფაქტორები ახდენენ გავლენას?

ადამიანი ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური და მორალური არსებაა. ის, რამდენადაც ბიოლოგიურადაა რთული არსებაა, მორალურადაც იმდენად უფრო რთული არსებაა.

როგორც მორალურ არსებას, ჩვენ გაგვაჩნია გრძნობები და ემოციები, როგორიცაა ჭკუა, სიყვარული, რისხვა, ეჭვიანობა და სხვა. ამ გრძნობების და ემოციების ერთი ნაწილი ჩვენ ქცევებზე გავლენას ახდენენ.

ჩამოთვლილთაგან ჭკუას, რისხვას და სურვილს თავიანთი ადგილი უკავიათ. მოდით, თანმიმდევრულად განვიხილოთ ისინი.

ადამიანი ყველაზე მეტად ჭკუას უჯერებს, ენდობა და ამაყობს მისი არსებობით.

რა არის „ჭკუა“? ასე რატომ ენდობა ადამიანი მას? მასზე უკმაყოფილებას არავინ არ გამოხატავს?

ყველას აქვს ჭკუა, მაგრამ ყველა მას ერთნაირად არ „კვებავს“.

ჭკუით ყველაფრის მართვა შესაძლებელია. თუ ადამიანები შეძლებენ გრძნობებისა და ემოციების ჭკუით გაკონტროლებას, კაცობრიობა ბევრ უბედურებებისაგან გადარჩებოდა. მაგრამ ყველა ჭკუით იქცევა?

მეცნიერი, მასწავლებელი, ექიმი, არქიტექტორი და სხვა პროფესიის პატრონები ადამიანებს ემსახურებიან. ამასთან ერთად, ქურდი, ბოროტმოქმედი, მკვლელი ჭკუას არასწორად იყენებს და კაცობრიობას ზიანს აყენებს.

მაგალითად, ადამიანს შეუძლია ასანთით აანთოს კოცონი და გათბეს, საჭმელი გააკეთოს, ასევე შეუძლია მოუკიდოს გარშემო ყველაფერს ცეცხლი და ხანძარი გააჩინოს.

ადამიანი სურვილის გარეშე ვერ იცხოვრებს. ადამიანი დაიღუპება ისეთი სასიცოცხლო სურვილების გარეშე, როგორიცა საჭმელი, სასმელი. მაგრამ სურვილებსაც აქვს ზღვარი. ადამიანმა უნდა შეძლოს გამოიყენოს ყველა სურვილი, არა იმდენი რამდენსაც ოცნებობს, არამედ იმდენი რამდენიც სჭირდება. ამას ჰქვია ნება.

ადამიანს შეუძლია თავისი ნებით აირჩიოს კარგი ან ცუდი გზა.

რისხვა – არასასურველი მოვლენის წინაშე შურისძიების სურვილის-არსებობა, ბრაზი, სიძულვილი, რისხვა, შუღლისა და თავდასხმისკენ მიდრეკილების გრძნობაა.

როგორც ყველა სხვა გრძნობა, ადამიანში რისხვაცაა. მაგრამ ყველა შემთხვევებში ძლიერია ის ადამიანი, რომელსაც გრძნობების მართვა შეუძლია. იმისათვის, რომ ადამიანის უფლებები, თავმოყვარეობა და ღირსება დაიცვა, უნდა იყო მამაცი.

!

გონივრული აღზრდა, გამბედაობა, თავაზიანობა, გონებას ანათებს, გულს ძალას მატებს“

ნიზამი გენჯევი

გონების სასიამოვნო განზრახვით ავსება ყველა წარმატების საწინდარია. მაღალი ცნობიერება და სუსტი ნება უცნაური რამაა. არასრულყოფილი გონება ორმაგი უგუნურობაა.

ბალთასარ გრასია

გონიერ ადამიანს გონებისა და შრომისმოყვარეობის ხარჯზე შეუძლია შეიძინოს უფრო მაღალი ნიჭი და უნარი, უგუნური კი ნიჭს ვერ გამოიყენებს ეფექტურად.

ანდაზა

?

1. როგორ დაასაბუთებთ, რომ გონება მორალური „სტიმულებიდან“ ყველაზე მნიშვნელოვანია? დაწერეთ თქვენი აზრი.
2. „სურვილებს ზღვარი უნდა ჰქონდეს?“ ამ თემაზე დაწერეთ ესსე.
3. დააფიქსირეთ თქვენი აზრი რისხვის უარყოფითი გავლენის შესახებ, ცხოვრებიდან მოიყვანეთ მაგალითები.
4. როგორ აკონტროლებთ სკოლაში თქვენს საქციელს? ამის შესახებ მოსაზრებები მეგობრებთან განიხილეთ.

5. ენის უბედურებები: ჭორი და ცილისწამება

ადამიანებმა იციან, რომ სიცრუე უდიდესი ცოდვაა და ცდილობენ თავი დაიცვან მისგან – არც ტყუილს ლაპარაკობენ და არც უსმენენ ვინმეს ტყუილს. მაგრამ ცრუ ენით გამოწვეული უბედურებები მხოლოდ ტყუილის ლაპარაკი არ არის. დაუკვირვებელ ენას აქვს სხვა უბედურებებიც. თქვენი აზრით, რომლებია ისინი?



ჭორი და ცილისწამება მეტად სახიფათო უბედურებებია.

ჭორი – არის იმ ადამიანის ზურგს უკან აუგად ლაპარაკი, რომელიც ჭორაობის ადგილზე არ იმყოფება. ჭორის გამუდავნების შეთხვევაში იგი გამოიწვევს ადამიანების გულისტკენასა და წყენას.

ადამიანების მიმართ ცილისწამება, მათ შესახებ ცილისმწამებლური ლაპარაკი, ჭორაობა შეუნდობელ ცოდვად ითვლება, იმიტომ, რომ უსაფუძვლო ჭორი და მითქმა-მოთქმა ადამიანებს შორის სიყვარულს, მეგობრობის გრძნობებს ასუსტებს, ამის მაგივრად ჩნდება წყენა და შუღლის განცდა.

გარდა ამისა, არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ ქცევებით და მიმიკითაც კი, სხვისი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების დემონსტრირება, მორალის თვალსაზრისით, არასწორია.

ჭორით, სხვების დისკრედიტაციით და დამცირებით ადამიანი ეჩვევა მაღალი თვითშეფასების ცრუ განცდას, ხშირად კი მას იპყრობს სხვათა ნაკლოვანებების მუდმივად ძებნის სურვილი.

სხვის ძაგების შედეგად ჭორაობით მიღებული სიამოვნებით ადამიანები რატომღაც თვლიან, რომ რამდენადაც სხვებს ამცირებენ, იმდენად საკუთარ თავს, ამაღლებენ.

რენე დეკარტი

იცოდე, რომ სხვათა სიტყვების შენთან მომტანი პირი, შენს სიტყვებს მათ მიუტანს.

ჰასან ალ-ბასრი

ჭორის მომსმენი ჭორის მომყოლისოდენა ცოდვას ჩადის.

ჯეიმს რენდალ

ჭორს პირადი ზიანის გარდა სხვა საზოგადოებრივი ზიანიც მოაქვს. ასე რომ, ჭორი ადამიანებს შორის გულწრფელ ურთიერთობებს აფუჭებს და მითქმა-მოთქმას უდებს სათავეს, რასაც მოყვება არასასურველი შედეგები, როგორიცაა წყენა და გაბუტვა. ოჯახებში, მეგობრებში, ნაცნობებში, ნათესავებში და საზოგადოებაში სადაც ჭორი მძლავრობს, წესრიგი, სიყვარული და ერთიანობა არ იქნება. ყველას ექნება ეჭვი ერთმანეთის მიმართ, არავის არ ექნება სხვისი ნდობა და გულწრფელად არავინ არავის დაელაპარაკება. წარმოიდგინეთ განწყობა იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ესალმებით და დაშორების შემდეგ თქვენს გულში ეჭვი და ორჭოფობა დაისადგურებს – „ნეტა ჩემი წამოსვლის შემდეგ ჩემ ზურგს უკან რა ილაპარაკეს? როგორ გამჭორეს?“... მსგავსი ფიქრი მოსვენებას დაგაკარგვინებთ. უსაფუძვლოდ არძრავს სხვების მიმართ თქვენს უარყოფით გრძნობებს.

ადამიანების შესახებ ნათქვამი ტყუილი ცილისწამებად ითვლება. ცილისწამება სულის მძიმე „დაავადებაა“. ცილისწამება რომელიმე ადამიანზე ტყუილის დაბრალება უდირსი საქციელია.

! **როგორც ჟანგი ანადგურებს რკინას, ისევე ჭორაობა ანადგურებს ადამიანების ზრდილობას.**

?

1. დაასაბუთეთ, რომ ჭორაობა უარყოფითი თვისებაა.
2. დაასაბუთეთ, რომ ცილისწამება და სიცრუის დაბრალება უარყოფითი თვისებაა.
3. რელიგია გმობს ცილისწამებასა და დაბრალებას, ტექსტი წაიკითხეთ და განიხილეთ.

ერთხელ წინასწარმეტყველი (მუჰამედი) სახლში სტუმართან იჯდა და საუბრობდა. სტუმარი, რომ სახლიდან გავიდა წინასწარმეტყველის მეუღლემ თქვა:
– ვაი, როგორი დაბალი ტანის კაცი ყოფილა!
– იცოდე, ახლა შენ ადამიანი გაჭორე! – გააფრთხილა იგი წინასწარმეტყველმა.
– მე ხომ არსებული ვთქვი?! – თქვა გაოცებულმა მეუღლემ.
– არარსებული რომ გეთქვა, ცილისწამება და დაბრალება გამოგივიდოდა, – უპასუხა წინასწარმეტყველმა.

ჯანმრთელი და უსაფრთხო ცხოვრება

1. ემოციები ცხოვრებას ამშვენებენ
2. ვიზრუნოთ ჩვენს ჯანმრთელობაზე
3. რა საფრთხეებს შეხვდებით?
4. ფრთხილად ვიყოთ
5. ეს ყველამ უნდა იცოდეს

1. ემოციები ცხოვრებას ამშვენებს

როცა აისელს დამ ან დაქალმა აწყენინა, იგი დაჯდა და საინტერესო ნახატების ხატვას მიჰყო ხელი. დედას უთხრა: „ამ ნახატებს, რომ ვხატავ, მიუმჯობესდება განწყობა, ყველა წყენა მავიწყდება“

თქვენი აზრით აისელი ჯანმრთელობის რომელ ასპექტის დემონსტრირებას ახდენს?

ფაქტორები, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხვდებით, გავლენას ახდენენ ჩვენს ცხოვრებაზე. გაზეთიდან, რადიოდან, ტელევიზორიდან, ასევე სხვა საინფორმაციო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციები ადამიანებში როგორც უარყოფით, ასევე დადებით ემოციებს წარმოქმნიან. ჩვენი ცხოვრება წარმოუდგენელია ამის გარეშე. დადებითი ემოციები ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, **უარყოფითი ემოციები** კი ძალზე საშიში.

უარყოფითი ემოციები ორგანიზმის მუშაობაზე მავნე გავლენას ახდენენ. ასეთი ემოციები ცუდი ამბის, შიშის, წარუმატებლობის, კონფლიქტის, უიმედობისა და სხვა შემთხვევებში იჩენენ ხოლმე თავს. ამ დროს ვწუხვართ, ვღელავთ, ვიძაბებით, ვნერვიულობთ, თავს ვგრძნობთ გამოფიტულად, ეს კი, მომავალში, სხვადასხვა დაავადებების მიზეზი შეიძლება გახდეს. უარყოფითი ემოციებისგან შორს ყოფნა ჯანმრთელობისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ საქმეში შენ დაგეხმარება მეგობრებთან და მშობლებთან კომუნიკაცია. სწორედ ამიტომ, ადამიანებთან კომუნიკაციისას კონფლიქტური სიტუაცია რომ არ შეიქმნას, ემოციები სწორედ უნდა მართო.

გაიხსენეთ, ქცევის ფორმები რომლებიც კონფლიქტების გადაწყვეტას გაადვილებს

დადებითი ემოციები გამარჯვება, სიხარული, კარგი ამბავი, წარმატებისა და სხვა სასიამოვნო მოვლენების შედეგად ჩნდება. ალბათ ყოველი ჩვენგანისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი მშვიდი, კომფორტული და ესთეტიურად სასიამოვნო გარემო. ავეჯის ორნამენტები, განსაკუთრებული გემოვნებით გაშლილი სუფრა, საინტერესო მხატვრული ნაწარმოები, კონცერტი, კლასიკური მუსიკა, ფილმი რომელიც ადამიანს ზღაპრების სამყაროში გადაიყვანს, ეზოში მოსული თოვლი აუმჯობესებს განწყობას და იწვევს დადებით ემოციებს.



ზოგჯერ, როგორც უარყოფითმა ასევე, დადებითმა ემოციებმა, შეიძლება ***გამოიწვიონ სტრესი****.

დაგროვილი მოუმზადებელი გაკვეთილები, რომელიც აუცილებლად უნდა ისწავლოთ, გამოცდებისათვის მომზადება, ახლობლის შორი მოგზაურობიდან მოულოდნელად დაბრუნება, კონფლიქტი გარშემომყოფებთან, რომელიმე საქმეში მოულოდნელი წარმატება, ახლობელი ადამიანის გარდაცვალება, წყენა, ეჭვიანობა, ავადმყოფობა, სასიცოცხლო საფრთხე და სხვა შემთხვევები სტრესის გამომწვევ მიზეზებად შეიძლება იქცნენ.

მეცნიერების ერთი ნაწილი თვლის, რომ სტრესისგან თავის დაღწევის მცდელობის ნაცვლად, გრძნობების მოთოკვა უნდა შეგეძლოს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია სტრესის წინააღმდეგ მუდამ გეკავოს ოპტიმისტური პოზიცია, რეალობას უნდა შეეგუო, თავი უნდა აიყვანო ხელში.

გულარა მეექვსე კლასში სწავლობდა და პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა მინდობილი საქმის მიმართ. იმის გამო, რომ ოჯახში სტუმარი ჰყავდათ, მან გეოგრაფიის მასწავლებლის დავალების მომზადება ვერ მოასწრო. დილას მასწავლებელმა გაკვეთილი გამოჰკითხა და მოუმზადებლობის გამო შენიშვნა მისცა. გულარა იმედგაცრუებული იყო. მასწავლებელს ვერ აუხსნა თუ რატომ ვერ შეასრულა დავალება და ტირილი დაიწყო.

ამ სიტუაციიდან თავის დასახსნელად გულარას რა რჩევებს მისცემდით?

სტრესი ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. იგი ნევროზის* გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, კუჭის წყლულის და სხვა დაავადებების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება გახდეს.

ემოციები ცხოვრებას ამშვენებენ და აზრს მატებენ. ვიცხოვროთ დადებითი ემოციებით, ყველაფერი ვიღონოთ საიმისოდ, რომ უარყოფითი ემოციებისაგან თავი შორს გვეჭიროს.

1. როგორ დავაღწიოთ თავი უარყოფით ემოციებს?

2. რა დადებით ემოციებს იწვევს ადამიანში მხიარული მუსიკის მოსმენა, ხელოვნების მუზეუმში ყოფნა, საინტერესო მხატვრული ნაწარმოების კითხვა?

3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სიტუაციები შეიძლება იქცეს სტრესის მიზეზად? სტრესიდან გამოსვლის გზების შესახებ მოუმზადეთ რჩევები მეგობრებს.

გამარჯვება | **უძილობა** | **მხიარული მუსიკა** | **სიბნელე**

ავადმყოფობა | **გამოცდა** | **ფერწერა**

***სტრესი – ორგანიზმში მოულოდნელი და უჩვეულო გავლენების შედეგად გამოვლენილი მოვლენა.**

***ნევროზი – ნერვული სისტემის ფუნქციური დარღვევაა.**

2. ვიზრუნოთ ჯანმრთელობაზე

ილგარი ზრუნავს თავის ჯანმრთელობაზე. თქვენი აზრით ის ეხლა ჯანმრთელობის რომელ პირობის შესრულებაზე გვაწვდის ინფორმაციას? ჯანმრთელობის სამივე ასპექტი რომ მოიცვას, ილგარმა აქ კიდევ რომელი სურათები უნდა დაამატოს?

ჩვენი სხეულის ნებისმიერი ორგანოს ჯანმრთელობა ან ავადმყოფობა უფრო ჩვენზეა დამოკიდებული. სხეულის წონის სიჭარბე, ნაკლები მოძრაობა, არასწორი კვება, სიგარეტის მოწევა, ნარკოტიკული ნივთიერებები და ალკოჰოლური სასმელების გამოყენება, მათზე დამოკიდებულება მავნებელია ჯანმრთელობისათვის.

სამეცნიერო და ტექნოლოგიურმა პროგრესმა იხსნა ადამიანები მძიმე, დამღლელი ფიზიკური შრომისგან, რომელიც ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობას ამცირებდა, იწვევდა ნაადრევ დაბერებას, ავადმყოფობას. მაგრამ, ამასთან ერთად, ფიზიკური სამუშაოს შეუსრულებლობამ, მოძრაობის ნაკლებობამ ადამიანში განაპირობა რიგი დაავადებების წარმოქმნა. კუნთების აქტივობის ნაკლებობა უჯრედებსა და ქსოვილებში ჟანგბადის დეფიციტს იწვევს.

მოძრაობის ნაკლებობა გულის დაავადებების, ტვინში სისხლის გაუონვისა და სხვა დაავადებების წარმოქმნის მთავარი მიზეზი არ არის, მაგრამ ამ დაავადებების გაჩენაში არანაკლები როლი გააჩნია.

ჯანმრთელი ცხოვრება, ერთდროულად, მავნე ჩვევებისგან შორს ყოფნაა.

! **ძველ საბერძნეთში არსებობდა ასეთი გამოთქმა: „თუ გინდა იყო ძლიერი, ირბინე, თუ გინდა იყო ლამაზი, ირბინე, თუ გინდა იყო ჭკვიანი, ირბინე“.**

ერთ დროს აშშ-ში სიგარეტის მოწევის მავნებლობის დასადგენად კომისია შეიქმნა. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ სიგარეტის მწეველები და არამწეველები. სიგარეტის მავნებლობა, რომ დაადგინეს კომისიაში მონაწილე ყველა სიგარეტის მწეველებმა მოწევას თავი გაანება.

სიგარეტის შემადგენლობაში არის 200-ზე მეტი მავნე ნივთიერება. ეს მავნე ნივთიერებები სასუნთქი გზებით ფილტვებში და ნერწყვით საჭმლის მომნელებელ ორგანოებამდე აღწევს. სიგარეტის მწეველი ხშირ-ხშირად ცივდება და გადამდები დაავადებებით ავადდება, მცირდება ორგანიზმის უზრუნველყოფა სისხლით, შრომისუნარიანობა ქვეითდება. ჩატარებული კვლევების შედეგად ფილტვის კიბოთი დაავადებულების უმეტესობა სიგარეტის მწეველები არიან.

ორგანიზმზე უფრო მეტი უარყოფითი გავლენის მქონე კიდევ ერთი მავნე ჩვევა – ალკოჰოლური სასმელების მოხმარებაა. ალკოჰოლური სასმელი თავის ტვინის უჯრედებს ანადგურებს, აზიანებს თირკმელებს და ღვიძლს, რომელიც ტოქსიკურ ნივთიერებებს ასნებოვნებს. მათ, ვინც რეგულარულად მოიხმარს ალკოჰოლურ სასმელებს, ხშირად ემართებათ გასტრიტი, კუჭის წყლული, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ღვიძლის კიბო, თირკმლის უკმარისობა, გულსისხლძარღვთა დაავადებები.

მავნე ჩვევებს შორს ერთ-ერთი ყველაზე საშიში კი ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაა. ნარკომანების ორგანიზმი სუსტდება, ისინი წონაში იკლებენ, აწუხებთ ფსიქიკური აშლილობა. ამ ავადმყოფების ღვიძლის და თირკმელების სისუსტის გამო მავნე ნივთიერებები წამლავს ორგანიზმს. ასეთი ადამიანების ნერვული სისტემა ირღვევა. მათ ხელები უკანკალებთ, ქვეითდება მეხსიერება, მუდამ გაღიზიანებულები არიან.

მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება ძალზე საშიშია ოჯახისა და საზოგადოებისთვის.

დღეს ჩვენ კომპიუტერის გარეშე არსებობა ვერ წარმოგვიდგენია. კომპიუტერი სასურველი ინფორმაციის მიღებაში გვეხმარება. მაგრამ ექიმები არ გვირჩევენ, რომ მცირეწლოვანმა ბავშვებმა ხანგრძლივად ისარგებლონ კომპიუტერით. ბავშვებს, კომპიუტერის ან ტელევიზორის ეკრანის დიდი ხნით ყურებამ შეიძლება მხედველობის სერიოზული პრობლემები შეუქმნას. კომპიუტერზე ხანგრძლივად მუშაობა ძილის და ნერვული სისტემის მოშლილობის მიზეზი ხდება, რაც იწვევს ნერვოზს. ღამის საათებში კომპიუტერით სარგებლობა, როგორც ბავშვებში ასევე უფროსებში, აფერხებს ტვინის განვითარებას.

თუ არ ვისწავლით ჩვენი ჯანმრთელობის დაცვას, ჩვენ ვერ დაგვეხმარება მედიცინა. იმიტომ, საჭიროა ხშირად დავფიქრდეთ იმაზე, რომ: „სწორად ვიკვებები?“, „ვისვენებ?“, „ნერვულ უჯრედებს ვიცავ?“, „სუფთა ჰაერზე ვსეირნობ?“.

?

1. მოაგროვეთ ინფორმაცია და მოამზადეთ პრეზენტაცია იმ ადამიანის სხეულზე უარყოფითი გავლენის შესახებ, რომელიც ხანგრძლივად უყურებს ტელევიზორს და საუბრობს ტელეფონით.
2. შექმენით ისეთი ლოზუნგი ან სიმბოლო, რომ მნახველებმა წარმოიდგინონ, თუ რა ცუდ დღეში აგდებს ადამიანს მავნე ჩვევები და „უარი“ უთხრან ამ მავნე ჩვევებს.
3. წარმოიდგინეთ ისეთი სამედიცინო აპარატურა, რომელიც ადამიანებს გადაარჩენს მავნე ჩვევებისგან.
4. დაწერეთ თემა ესეზე „სიგარეტის მწეველების მიერ მიყენებული ზიანი გარშემომყოფ ადამიანებზე“.

3. რა საფრთხეებს შევხდებით?

ლამია გაკვეთილს კითხულობდა. რადგან მის პატარა დას სევინჯს ოთახში ეძინა, მან მაგიდის ნათურა აანთო. ელექტრო ჩამრთველი ხალიჩის ქვეშ იყო დარჩენილი. ლამიას დედამ ეს შენიშნა და მაშინვე ნათურა ჩააქრო. ***თქვენი აზრით ეს რატომ გაკეთა?***

დღეს ჩვენი რესპუბლიკის რეგიონებში არსებობენ პარკები და საბავშვო გასართობი ცენტრები, სადაც ბავშვები ერთობიან, ჩვენ ყველას ეს გვიხარია. ალბათ ძალიან გიყვართ უქმე დროს მშობლებთან ერთად ამ საბავშვო გასართობ ცენტრებში, პარკებში და ზაფხულში წყლისპირას წასვლა. მაგრამ ასეთ ადგილებში სადაც გინდათ რომ დრო საინტერესოდ გაატაროთ, ჰიგიენის და უსაფრთხოების წესების უგულვებელყოფას შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგები.

მეცნიერების და ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად იზრდება უბედური შემთხვევები. წლის განმავლობაში ასობით ადამიანი სახლში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სხვადასხვა ტიპის უბედური შემთხვევების შედეგად იღუპება ან იღებენ სხვადასხვა ტიპის ტრავმებს. ამის მიზეზი კი ჩვეულებრივი უსაფრთხოების წესების არცოდნა ან შეუსრულებლობაა

ავიაკატასტროფა

რომლებია უსაფრთხოების წესები, რომელიც საბავშვო გასართობ ცენტრებში, პარკებში და პლაჟებზე უნდა დავიცვათ და ამ წესების დაუცველობას რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს?



ელექტროგადამცემი ხაზის გადაჭარბებული გაცხელება და ელექტროქსელის გადაჭარბებულად დატვირთვა ხანძრის გამომწვევ მიზეზად შეიძლება იქცეს. ელექტროსადენებზე გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად არ შეიძლება წყლის გამოყენება. ამან შეიძლება გაავრცელოს ხანძარი. ამავდროულად შეიძლება ადამიანს დენმა დაარტყას. ბავშვების თამაში ელექტრო მოწყობილობასთან, ელექტრო ქსელზე რომელიმე საგნის მიერთება, ელექტრო მოწყობილობის წყალთან ახლოს მიტანა და სხვა შემთხვევებმაც, შეიძლება გსმოიწვიოს დენის დარტყმა. დენი მოქმედებს მთელ ორგანიზმზე, პირველ რიგში კი, ნერვულ სისტემაზე. ამ დროს კრუნჩხვა ემართებათ, სხეული ცივდება, გულის ფუნქციონირება სუსტდება, ხშირ შემთხვევაში ადამიანი კვდება.

ყოველდღიურ ცხოვრებაში, მედიცინაში სხეულის ტემპერატურის გასაზომად ფართოდ გამოიყენება თერმომეტრი ვერცხლისწყლით. მაგრამ გაუფრთხილებლობის შედეგად შეიძლება გატყდეს თერმომეტრი და ვერცხლისწყალი გაიფანტოს. ვერცხლისწყლის დაღვრის შემთხვევაში თუ ქვემოთ ჩამოთვლილ წესებს არ დავიცავთ, ორგანიზმში მოხვედრილი ვერცხლისწყალი გამოიწვევს წნევის მომატებას, ინფარქტს, კანის გაწითლებას, ჭრილობის წარმოქმნას და ცრემლდენას.

ვერცხლისწყლის დაღვრისას:

– ვერცხლისწყლის წვეთებს არ დააბიჯოთ და ბავშვები მოაშორეთ იმ ადგილიდან;

– უნდა გაადოთ ფანჯარა;

– დაღვრილი ვერცხლისწყლის წვეთების გასასუფთავებლად არ გამოიყენოთ მტვერსასრუტი;

– ჩაიცვით რეზინის ხელთათმანები, ვერცხლისწყლის წვეთები ფურცლით ან რბილი ფუნჯით ქაღალდზე მოაგროვეთ;

– მოგროვილი წვეთები მოათავსეთ წყლით სავსე შუშის ჭურჭელში და დააფარეთ.

– გატეხილ თერმომეტრში დარჩენილი ვერცხლისწყალიც ამ ჭურჭელში მოათავსეთ;

– ის ადგილი სადაც ვერცხლისწყალი იყო დაღვრილი სოდის და საპნის ნარევით გაწმინდეთ.

უსაფრთხოების წესების დაუცველობას შეიძლება მოჰყვეს უბედური შემთხვევები. ასეთ სიტუაციებში დაშავებულის გადასარჩენად დრო არ უნდა დაკარგოთ, პირველადი დახმარება უნდა აღმოუჩინოთ და სასწრაფოდ ექიმს უნდა მიმართოთ.

?

1. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში რომელი უსაფრთხო ქცევის წესები უნდა დავიცვათ?

2. ქუჩაში ხშირად პატრონების მიერ გასასეირნებლად გამოყვანილ ძაღლებს ხვდებით. ძაღლის პატრონმა და გარშემომყოფმა ადამიანებმა რომელი უსაფრთხოების წესები უნდა დაიცვან, და იმ შემთხვევაში, თუ ძაღლმა უკბინა, დაადგინეთ რა საფრთხე ემუქრება ადამიანს.

3. ქიმიის ლაბორატორიაში რომელი უსაფრთხოების წესები უნდა დაიცვათ?

წინაადმდეგ შემთხვევაში რომელ საფრთხეებს შეხვდებით? შეადგინეთ ცხრილი.

4. ფრთხილად ვიყოთ

ნოვრუზ ბაირამობა იყო. ჩინგიზი მშობლებთან ერთად განჯაში მცხოვრებ ბიძასთან სტუმრად მიდიოდა. ისინი ყოველთვის ბიძასთან თავიანთი მანქანით მიდიოდნენ. ამ ჯერად კი მამამ ბიჭს ჰკითხა, თუ რით სურს წასვლა განჯაში. რადგან ჩინქიზმა იცოდა რომ განჯაში წასვლა შესაძლებელი იყო ავტობუსით, მატარებლით ან თვითმფრინავით, „ცოტას ვიფიქრებო“ თქვა და უფროს ძმასთან წავიდა.

– თქვენი აზრით, რა იყო ჩინგიზის დაფიქრების მიზეზი?

– რომელი უსაფრთხოების წესები უნდა დაიცვას მან, რათა შორს იყოს საფრთხისგან?

ყოველი ჩვენთაგანი ვართ როგორც ფეხით მოსიარულე, ასევე მგზავრი. ახლო მანძილებზე გადასაადგილებლად ვსარგებლობთ მეტროთი, ავტობუსით, ხოლო შორ მანძილებზე წასასვლელად ვსარგებლობთ ავტობუსით, ტაქსით, მატარებლით, თვითმფრინავით. ნებისმიერი საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას ჯანმრთელობასა და სიცოცხლის დასაცავად უნდა იცოდე გარკვეული წესები და საჭირო უნარებს უნდა ფლობდე.

უსაფრთხოების წესები ავტობუსში

- **იმ შემთხვევაში, თუ ცარიელი ადგილი არის, უნდა დაჯდე**
- **სალონში არ უნდა იაროთ, ირბინოთ, ფეხზე დგომის შემთხვევაში სახელურებს უნდა ჩაეჭიდოთ. წინააღმდეგ შეთხვევაში მძღოლის მიერ მუხრუჭის გამოყენებისას შეიძლება დაზიანებები მიიღოთ;**
- **კარებს ნუ მიეყრდნობით;**
- **მუსიკის მაღალ ხმაზე მოსმენით და ხმამაღლა ლაპარაკით შეიძლება მძღოლის ყურადღება გაფანტოთ;**
- **სხეულის გარკვეული ნაწილი, ან რაიმე ნივთი, ტრანსპორტის ფანჯრიდან გარეთ არ გაყოთ.**

უსაფრთხოების წესები მეტროში

• ესკალატორზე მარჯვენა მხარეს, სახით მოძრაობის მიმართულებით უნდა იდგეთ და თითებს უნდა მიაქციოთ ყურადღება, რომ სახელურების ქვეშ არ მოჰყვეს;

• პლატფორმაზე მატარებლის მოძრაობის გზაზე ახლოს არ უნდა იდგეთ;

• რელსებზე რაიმე ნივთის ჩავარდნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ მორიგეს;

• სანამ მიუახლოვდებით ვაგონის კარებს, უნდა დაელოდოთ მატარებლის გაჩერებას და მგზავრების ჩამოსვლას;

• მატარებელში ასვლა-ჩასვლისას ფრთხილად იყავით მოძრავ კარებთან;

• ნუ მიეყრდნობით კარებს;

• ვაგონში ან პლატფორმაზე შემჩნეულ უპატრონო ნივთებს არ შეეხოთ და ამის თაობაზე აცნობეთ მორიგეს.

უსაფრთხოების წესები თვითმფრინავში

• ფრენისას არ მოსწიოთ სიგარეტი და ელექტრონული საშუალებებით ნუ ისარგებლებთ;

• თვითმფრინავის აფრენისას და დაფრენისას აუცილებლად გაიკეთეთ უსაფრთხოების ღვედები;

• ავიალაინერის აღჭურვილობას ნუ დააზიანებთ;

• ბარგში არ ჩაალაგოთ რადიოაქტიური ნივთიერებები, ფეიერვერკი, მაგნიტი და სხვა;

• „ავარიული დაშვებისას“ დაიხარეთ და ხელები მუხლების ქვეშ ამოიდეთ, თავი რაც შეიძლება დაბლა დასწიეთ, ფეხები იატაკს მიადეთ.

რკინიგზის მატარებელში უსაფრთხოების წესები

• ვაგონში შესვლისას ავარიული გასასვლელებისა და ცეცხლმაქრი მოწყობილობის განთავსების ადგილები დაიმახსოვრეთ;

• ბარგში არ იქონიოთ ადვილად აალებადი, ქიმიურად საშიში, ასაფეთქებელი ნივთიერებები;

• გარდა გარდაუვალი აუცილებლობისა "სტოპ კრანი" (მუხრუჭი) არ გამოიყენოთ;

• გარებული ფანჯრიდან თავი არ გაყოთ, ვაგონის კიბეებთან ნუ გაჩერდები;

• ბოლს ან დამწვრობის სუნს, როცა იგრძნობთ, საეჭვო პირის ან მიტოვებული ბარგის დანახვისას მატარებლის მეთვალყურეს აცნობეთ ამის შესახებ.

?

1. ლალი მშობლებთან ერთად დასასვენებლად თურქეთში წასასვლელად ემზადებოდა. ინტერნეტის საშუალებით თვითმფრინავში უსაფრთხოების წესების შესახებ ინფორმაცია მოაგროვა. მოგროვილ ინფორმაციაზე დაკვირვებით მან დაინახა, რომ თვითმფრინავში და მატარებელში უსაფრთხოების ზოგიერთი წესები ერთიდაიგივეა. თქვენი აზრით, რომლებია ეს წესები?

2. ხანუმას პაპა 1994 წელს ბაქოს მეტროპოლიტენში მომხდარი ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა. ამიტომ, მუდამ იმაზე ფიქრობდა, რომ ხანძრის შემთხვევაში რომელი წესები უნდა დაიცვას. ხანუმას დახმარების მიზნით მოაგროვეთ ინფორმაცია მეტროში ხანძრის და აფეთქებების დროს უსაფრთხო ქცევის წესების შესახებ.

3. გემის და რკინიგზის ტრანსპორტის უსაფრთხო ქცევის წესების და ამ წესების დაუცველობის შემთხვევაში შექმნილი საფრთხე აღნიშნეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახე	უსაფრთხოების წესები	წესების დაუცველობის შედეგები
გემი		
მატარებელი		

4. მოამზადეთ ბუკლეტები და სიმბოლოები იმისათვის, რომ თქვენი სკოლის მოსწავლეებმა დაიცვან უსაფრთხოების წესები საზოგადოებრივი ტრანსპორტში.

5. ეს ყველამ უნდა იცოდეს

ნაზიმი და სამირი ზღვაზე ბანაობდნენ. ზღვაზე და სანაპიროზე არავინ იყო დარჩენილი რადგან ქარიანი ამინდი იდგა. ნაზიმს უნდოდა დაეძახა სამირისთვის და ეთქვა რომ წასულიყვნენ სახლში. მაგრამ მან დაინახა, რომ სამირი წყალში ტივტივებდა. ნაზიმმა ძლივს გამოიყვანა სამირი ნაპირზე. სამირს უკვე გონება ჰქონდა დაკარგული.

ამ დროს ნაზიმმა რა უნდა გააკეთოს?

თქვენთვის უკვე ცნობილია, თუ როგორ უნდა მოიქცეთ ბუნებრივი, ტექნოგენური ხასიათის კატასტროფებისა და უბედური შემთხვევების დროს. მაგრამ, როგორც არ უნდა ვეცადოთ უბედური შემთხვევებისაგან გაქცევას, ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა სახიფათო სიტუაციებს ვაწყდებით ხოლმე. ადამიანის დაზიანების შემთხვევაში, ექიმის მოსვლამდე აღმოჩენილ პირველად დახმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. დაუეჟილობა, ღრძობა, ამოვარდნილობა, მოტეხილობები, დამწვრობები, სისხლდენები, გონების დაკარგვა, სხვადასხვა მოწამვლები, გველის ნაკბენი და სხვა შემთხვევების დროს დაბნეულობამ და გაუფრთხილებლობამ შეიძლება დაშავებულის მდგომარეობა უფრო დაამძიმოს. მაშ რა უნდა გაკეთდეს ასეთ სიტუაციებში?

არახელსაყრელ ადგილს მოარიდეთ დაშავებული. დაუყოვნებლივ გამოუძახეთ სასწრაფო დახმარებას!
სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ქვემოთ ჩამოთვლილის შესრულება აუცილებელია.

!

ღრძობა და ამოვარდნილობა ის დაზიანებაა, რომელიც ადამიანის სახსრებში ხდება. ამ დროს დაზიანებულ ადგილზე ყინული ან ცივ წყალში დასველებული ტილო უნდა დაადოთ. ღრძობის შემთხვევაში იმ ადგილას მჭიდრო ნახვევი უნდა დაედოს. ამოვარდნის შემთხვევაში ნუ ეცდებით ამოვარდნილი ნაწილის ადგილზე ჩასმას, დაზარალებული დააფიქსირეთ ქამრებით და მოიყვანეთ უმოძრაო მდგომარეობაში. წინააღმდეგ შეთხვევაში, შფოთვამ და მოძრაობამ შეიძლება დააზიანოს ამოვარდნის ადგილის გარშემო მდებარე ქსოვილები.

მოტეხილობები. ძვლის მოტეხილობა ორნაირია: ღია და დახურული. როგორც წესი, ღია მოტეხილობის დროს ძვლები წვეტიანი და ბასრია. ისინი ჭრიან კუნთებს, სისხლძარღვებს, ნერვებს და კანს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ჭრილობა გასუფთავდეს, სისხლდენა შეწერდეს, ჭრილობაზე დაედოს სუფთა საფენი, შემდეგ არტაშანი და კიდური მოიყვანოს უმოძრაო მდგომარეობაში. დახურული მოტეხილობების დროს არტაშანი უნდა დაედოს. არტაშნის დადებისას ისე უნდა მოიქცეთ, რომ დაიფაროს მინიმუმ ორი სახსარი.

მაგრამ ზოგჯერ არის ისეთი მოტეხილობები, რომლის დროსაც არტაშანის დადება არ შეიძლება. ნეკნების, ხერხემლის სვეტის, თავის ქალის ძვლების მოტეხილობისას არტაშანის დადება არ შეიძლება.



სისხლდენა. სისხლძარღვების დაზიანება სისხლდენის მიზეზია. თუ, სისხლდენა სუსტია, ჭრილობის გარშემო იოდის წასმა და შეხვევა, ზოგჯერ კი, დამწოლი ნახვევის დადება საკმარისია. ყველაზე საშიში სისხლდენა არტერიული სისხლდენაა. ამ დროს დაშავებულმა რამდენიმე წუთის განმავლობაში შეიძლება დიდი რაოდენობის სისხლი დაკარგოს. პირველი დახმარების დროს დაუყოვნებლივ, ჭრილობის ზემოდან უნდა დაედოს ლახტი, დაგრეხილი ნაჭერი, ქამარი, რეზინი და სხვა საშუალებებით მაგრად უნდა მოეჭიროს და ავადმყოფი სასწრაფოდ გაიგზავნოს საავადმყოფოში. უნდა დაინიშნოს ლახტის დადების დრო. იმიტომ, რომ ლახტის დიდხანს გაჩერებისას კიდურს სისხლი არ მიეწოდება და ქსოვილები დაიღუპება.



გველის ნაკბენის დროს შეინიშნება ორი სისხლიანი ნასვრეტი ჭრილობა. ამ მონაკვეთში ძლიერი ტკივილი ვითარდება, კანი წითლდება, ხდება შეშუპება და სისხლჩაქცევები. ავადმყოფს ახასიათებს გულისრევა, ღებინება, ცივი ოფლი, გაძნელებული სუნთქვა, ძილიანობის შემთხვევები.





ამ დროს:

– დაშავებულმა არ უნდა იმოძრაოს. იმიტომ, რომ ეს ხელს უწყობს შხამის გავრცელებას. ავადმყოფი „სასწრაფო დახმარების“ მანქანამდე გადაყვანილი უნდა იქნეს საკაცით!

– ჭრილობა სუფთა წყლით უნდა ჩამოიბანოს, იოდი ან ბრილიანტის მწვანით უნდა მოხდეს დეზინფექცია და სტერილური ნახვევი უნდა დაედოს. შესიებისას საჭირო ნახვევის ცოტა მოშვება. ნაკბენი ადგილი ნახვევის ქვეშ არ უნდა მოჰყვეს. შეწოვის სიჩქარის შემცირების მიზნით ნახვევზე უნდა დაედოს ყინული ან ცივი კომპრესი.

– როგორც მოტეხილობების დროს, ასევე ამ დროსაც დაზიანებულ მიდამოზე (ფეხი ან მკლავი) შეიძლება არტაშანის დადება ან დაზიანებული მიდამო ჯანმრთელ მიდამოს მიემაგროს. ამით შხამის ორგანიზმში გავრცელების სისწრაფე მცირდება.

გაგუდვის, წყალში დახრჩობის, დენის და მეხის დარტყმის დროს ადამიანებს შეიძლება ჩაუტარდეს ხელოვნური სუნთქვა. ამ დროს დაშავებული უნდა დააწვინოთ ჰორიზონტალურად, გაუწმინდოთ პირი, გადავუწიოთ თავი უკან და გავუდოთ პირი. შემდეგ ღრმად ჩავისუნთქოთ და მის პირში ჰაერი ჩავუბეროთ. ეს წუთში 16-18 ჯერ უნდა განმეორდეს.

თუ გული გაჩერებულია კეთდება არაპირდაპირი მასაჟი. ანუ ყოველი ამოსუნთქვის შემდეგ გულმკერდის არეში საჭიროა ზეწოლა 3-4 სმ სიღრმეში 4-5 ჯერ. ეს, რომ გააკეთოს ორმა კაცმა, ზემოქმედება უფრო ეფექტური იქნება.



დენის დარტყმა. **წყალში დახრჩობა**

სხვადასხვა დამწვრობები: ცეცხლით, ორთქლით, ქიმიური ნივთიერებებით, გაცხელებული ლითონით და სხვა მიზეზებით შეიძლება მოხდეს. დამწვრობები არის I, II, III, IV ხარისხის. ყველაზე საშიშია IV ხარისხის დამწვრობა.

დამწვრობის დროს იგრძნობა ძლიერი ტკივილები, წარმოქმნილი ტოქსიკური ნივთიერებები სისხლში გადადის და ხდება მოწამვლა. დაშავებულისათვის პირველი დახმარების აღმოჩენის დროს საჭიროა ჩავაქროთ მის ტანსაცმელზე მოდებ ული ცეცხლი და დაზიანებულს დიდი რაოდენობით წყალი დავალევინოთ.

დამწვრობის დროს წარმოქმნილი ბუშტუკების გახსნა, ჭრილობაზე ზეთისა და სხვა ნივთიერებებს წასმა არ შეიძლება. დაზიანებულ უბანზე სპეციალური დამწვრობის საწინააღმდეგო სახვევი დაიდება. ქიმიური ნივთიერებების შედეგად წარმოქმნილი დამწვრობების დროს სხეულის დამწვარი ნაწილი აუცილებლად უნდა ჩამოირეცხოს გამდინარე წყლით, 15 წუთის განმავლობაში.

დამწვარი და კანზე მიკრული ტანსაცმლის ძალით გახდა არ შეიძლება. ის ფრთხილად უნდა გაიჭრას და ისე განთავისუფლდეს სხეული.

მხუთავი აირით მოწამვლა. ბოლო დროს ხშირად ხდება მხუთავი აირით მოწამვლა. მოწამვლის დროს შეინიშნება შემდეგ სიმპტომები:

- თავბრუსხვევა;
- მშრალი ხველა;
- თავის ტკივილი;
- გულისრევა;
- ღებინება;
- კრუნჩხვა;
- გონების დაკარგვა.

მოწამვლისას აღმოსაჩენი პირველი დახმარება:

– დაშავებული უნდა გაიყვანო სუფთა ჰაერზე;

– საყელო შევხსნათ;

– დაშავებული უნდა დასვათ ნახევრადმწოლიარე მდგომარეობაში, შუბლზე და გულმკერდზე ცივი კომპრესი უნდა დაადოთ;

– თუ დაშავებული არ სუნთქავს, ჩაუტარეთ მას ხელოვნური სუნთქვა და გულის არაპირდაპირი მასაჟი.

გულის წასვლა (გულყრა) – გონების დროებით დაკარგვაა. გულყრის მიზეზი შეიძლება იყოს სითბური დაკვრა, მზის დაკვრა, ძლიერი ტკივილი, დაღლილობა, თავის ტვინის დაზიანება და სხვა. ასეთ შემთხვევაში:

– დაშავებული დააწვინეთ ისე, რომ თავი ტანზე ცოტა დაბლა იყოს;

– საყელო შევხსნათ;

– გახსენით ფანჯრები, რომ ოთახი სუფთა ჰაერით შეივსოს;

– დაშავებულს სახეზე ცივი წყალი აპკურეთ, ან ნიშადურის სპირტი ასუნთქეთ.



ხანძარისა და სხვადასხვა უბედური შემთხვევების დროს მხუთავი აირით მოწამვლისას, დაშავებული დაუყოვნებლივ მოარიდეთ შემთხვევის ადგილს, პირველი დახმარების აღმოჩენის შემდეგ წაიყვანეთ ექიმთან. მომავალში თქვენ პირველი დახმარების სხვა სახეობების შესახებაც მიიღებთ ინფორმაციას.

!

დროულად აღმოჩენილი დახმარება ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას ნიშნავს.

?

1. წყალში მომხდარი საშიშ მოვლენათაგან ერთ-ერთი კუნთის კრუნჩხვაა. ამ დროს ადამიანის ფეხი სრულად უბუჟდება. ასეთ დროს რომელი დახმარება უნდა აღმოუჩინოთ საკუთარ თავს, მოაგროვეთ ინფორმაცია ამის თაობაზე.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი პირველადი დახმარებები რომელი უბედური შემთხვევების დროს უნდა აღმოუჩინოთ?

პირველი დახმარება	უბედური შემთხვევა
ხელოვნური სუნთქვის ჩატარება	
ლახტის დადება	
არტაშანის დადება	
დაზიანებული უბანზე წყლით დასველებული ტილოს დადება	

3. ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების დროს რომელი პირველი დახმარება უნდა აღმოუჩინოს?

უბედური შემთხვევა	პირველი დახმარება
დამწვრობა	
მხუთავი აირით მოწამვლა	
გულყრა	
არტერიული სისხლდენა	

სარჩევი

გარემო ჩვენ ირგვლივ **5**

1. მოძრაობა მატერიის თვისებაა 6
2. ბუნებაში ურთიერთქმედებებ 8
3. ენერგია და ენერგიის გარდაქმნა 10
4. ადამიანი და გარემო 13
5. ტყეები ჩვენი პლანეტის „ფილტვებია“ 16

საზოგადოების მოთხოვნილებები **19**

1. საზოგადოების ცხოვრება 20
2. ეკონომიკის როლი საზოგადოების ცხოვრებაში 22
3. შრომის დაყოფა 25
4. შრომა და მისი სახეობები 28
5. ჩვენი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები 30
6. სახელმწიფო მმართველობის ფორმები 33
7. საზოგადოება და ორგანიზაციები 36
8. საზოგადოება და მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა 39
9. სამართლის დარგები 42
10. განათლების უფლება კონსტიტუციაში 44

მორალური ცხოვრება **47**

1. მორალური ვალი 48
2. რელიგია და კულტურა 51
3. სწორი და არასწორი აზრი 54
4. ჩვენი ქცევების მორალური სტიმულები 56
5. ბოროტი ენის უბედურებები: ჭორი და ცილისწამება 59

ჯანმრთელი და უსაფრთხო ცხოვრება **61**

1. ემოციები ცხოვრებას ამშვენებს 62
2. ვიზრუნოთ ჩვენს ჯანმრთელობაზე 64
3. რა საფრთხეებს შეხვდებით? 67
4. ფრთხილად ვიყოთ 70
5. ეს ყველამ უნდა იცოდეს 73

HƏYAT BİLGİSİ
7

Ümumtəhsil məktəblərinin 7-ci sinfi üçün
Həyat bilgisi fənni üzrə

DƏRSLİK

(Gürcü dilində)

Müəlliflər:

Məmmədova Nüşabə Əsəd qızı
Mahmudova Könül Faiq qızı
Bəhrəmova Sevil Şivəxan qızı

Koordinator:
Roland Jalagania

Tərcümə edən:
Zərifə Hacıyeva

ŞƏRQ-QƏRB

www.eastwest.az
www.fb.com/eastwest.az
info@eastwest.az

Buraxılışa məsul: Sevil İsmayılova
Dizaynerlər: Elşən Qurbanov
Ayaz Abdulzadə
Texniki redaktor
və səhifələyici: Mixail Çodrişvili
Baş redaktor: Gültəkin Cəfərova
Texniki direktor: Xəqani Fərzalıyev
Nəşriyyat direktoru: Kəmalə Qarayeva

Format: 70x100 1/16. Ofset çapı. Fiziki çap vərəqi 5.
Sifariş 16010. Tiraj 200

ŞƏRQ-QƏRB

"Şərq-Qərb" ASC-nin mətbəəsində çap olunmuşdur.
AZ1123, Bakı, Aşıq Ələsgər küçəsi, 17.
Tel.: (+99412) 374 83 43
(+99412) 374 73 84

Pulsuz